ილია ფიროსმანი

მკვლელობა

(სურათები საოჯახო ალბომიდან)

Scanned with CamScanner

მოქმედი პირები

გიორგი სიხარულიძე.
ნესტანი, მისი ცოლი.
სალომე
მარიკა } შვილები.
გურამი
დარო, შინამოსამსახურე.
აბესალომი, ნესტანის შორეული ნათესავი.
ბადრი, მარიკას ქმარი.
გაიოზი, სალომეს საქმრო.
ელისაბედი, სიხარულიძეების მეზობელი.
პოლიკო, მსახიობი.
ბუციკო, ბადრის მოწაფე.

პროფესორ გიორგი სიხარულიძის ბინა. სასადილო ოთახში ნესტანს უზარმაზარი თაიგული უჭირავს ხელში. სამზარეულოში გიორგი საუზმეს ამთავრებს. სასადილო ოთახში შემოდის სალომე.

სალომე. გაიოზს არ დაურეკავს?

ნესტანი არ პასუხობს.

კიდევ გამოგზავნა?

ნესტანი. ჰო, კიდევ გამოგზავნა...

სალომე. რა კარგი მიხაკებია!

ნესტანი. ხომ იცი...

სალომე. როგორ არა, მამაჩემს არ მოსწონს...

ნესტანი. ძალიან ბევრ ყვავილს კი გზავნის.

სალომე. რა მოხდა? ყვავილებს გზავნის.... მამაჩემს ამ ქვეყანაზე არავინ მოსწონს...

ნესტანი. როგორ არ მოსწონს...

სალომე. ჩემი შესაფერი არავინ ჰგონია, ოცდაშვიდი წლისა ვხდები, დავბერდი... ყველას იწუნებს...

ნესტანი. არ ემეტები.

სალომე. აბა, ასე ხომ არ დავრჩები? მაინც როდემდე უნდა ვიყო ასე, როგორ გგონია?

ნესტანი. არა, გაიოზი, მგონი, კარგი უნდა იყოს.

სალომე. რატომ უნდა იყოს ცუდი? აუცილებელია?

ნესტანი. ტელეფონით რომ მელაპარაკება, ისეთი სიმპათიური ხმა აქვს, ისეთი ზრდილობიანია... მოიყვანე ერთი ჩვენთან, ვნახოთ.

სალომე. არ მოდის.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რატომ არ მოდის, რისი ერიდება?
ს ა ლ ო მ ე. არ ვიცი, არ მოდის.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ხომ მაინც უნდა მოვიდეს?
ს ა ლ ო მ ე. ალბათ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ალბათ?
ს ა ლ ო მ ე. მოვა, მოვა.
ნ ე ს ტ ა ნ ი. გავიცნოთ, დაველაპარაკოთ... ის ქალი სულ მთლად უბრალო ყოფილა, საშუალოც არ ჰქონია დამთავრებული...
ს ა ლ ო მ ე. ვინ?
ნ ე ს ტ ა ნ ი. გაიოზის ნაცოლარი.
ს ა ლ ო მ ე. არ ვიცი, არ ვიცნობ. ამ ყვავილებს რა ვუყო? ადგილი აღარ არის.
ნ ე ს ტ ა ნ ი. აქ მომეცი. შენ საიდან უნდა იცნობდე, მითხრეს.
ს ა ლ ო მ ე. ცნობებს აგროვებთ, არა?
ნ ე ს ტ ა ნ ი. აბა, ისე გადავაგდოთ?
ს ა ლ ო მ ე. ისევ თავიდან დაიწყე.

შემოდის გიორგი.

ნ ე ს ტ ა ნ ი. გიორგი, შეიძლება ეს ყვავილები შენს ოთახში შევიტანო?
გ ი ო რ გ ი. აქ აღარა გაქვს ადგილი?
ნ ე ს ტ ა ნ ი. ყვავილებით გაივსო სახლი.
გ ი ო რ გ ი. შენ იცოდი, იმას ცოლი რომ ჰყავდა?
ს ა ლ ო მ ე. ვიცოდი.
გ ი ო რ გ ი. შვილები?
ს ა ლ ო მ ე. ეგეც ვიცოდი.
გ ი ო რ გ ი. მერე?
ს ა ლ ო მ ე. მერე რა?
გ ი ო რ გ ი. არაფერი?
ს ა ლ ო მ ე. დამანებეთ თავი, დამანებეთ! (ოთახიდან გარბის.)
ნ ე ს ტ ა ნ ი. დარო!
გ ი ო რ გ ი. კარგი... ეს ყვავილები კარგია, მაგრამ არ უნდა ვიცოდეთ, ვის ვატანთ შვილს? არ უნდა გავიგოთ, რა კაცია? მე რაღაცა მითხრეს, რა თქმა უნდა, არ დავუჯერე, მაგრამ...
ნ ე ს ტ ა ნ ი. ხომ იცი შურიანი ხალხის ამბავი. დარო! დარო!

შემოდის დარო.

დ ა რ ო. აქა ვარ, ქალო, რა გაყვირებს?
ნ ე ს ტ ა ნ ი. ყვავილები გაიტანე და გიორგის ოთახში სურაში ჩადგი.
დ ა რ ო. გაიოზმა გამოგზავნა?
ნ ე ს ტ ა ნ ი. გაიტანე-მეთქი!
გ ი ო რ გ ი. დარო, შენ იცნობ გაიოზს?
დ ა რ ო. ისეთი კარგი კაცია...
გ ი ო რ გ ი. რა იცი, გინახავს?
დ ა რ ო. არა.
ნ ე ს ტ ა ნ ი. გაიტანე ყვავილები, შენ გეუბნები!
დ ა რ ო. დამაცადე, კაცს ველაპარაკები. ისეთი ლამაზი თავსაფარი გამომიგზავნა, წამალიც მიშოვა...
გ ი ო რ გ ი. რატომ?
დ ა რ ო. როგორ თუ რატომ? რა ვიცი რატომ... დარომ ხომ არაფერი იცის. მარტო სარეცხი, დარო! სადილი, დარო! გაიოზმა კი თავსაფარი გამომიგზავნა. (გადის).
ნ ე ს ტ ა ნ ი. გაიოზს სალომე ისე უყვარს...
გ ი ო რ გ ი. რა იცი?
ნ ე ს ტ ა ნ ი. ალბათ, ვიცი, რომ ვლაპარაკობ. ისეთი ყურადღებიანია, ყოველდღე რომ არ დარეკოს, არ შეიძლება, რამე ხომ არ გჭირდებათო.
გ ი ო რ გ ი. რა უნდა გვჭირდებოდეს?
ნ ე ს ტ ა ნ ი. არაფერი, მაგრამ ხომ იცი, ყურადღება...
გ ი ო რ გ ი. დარეკვა კარგია, აი, ყურადღებიანიც ყოფილა, ყველაფერი კარგია, მაგრამ ოჯახი რომ მიატოვა, ეს არაფერია?
ნ ე ს ტ ა ნ ი. როგორ ძლებდა იმ ქალთან, ერთი უბრალო, გაუნათლებელი ქალი ყოფილა.
გ ი ო რ გ ი. ყველა განათლებული ხომ არ იქნება? დედა იყო, ოჯახი ჰქონდა, აბა, როგორ ცხოვრობს ხალხი...
ნ ე ს ტ ა ნ ი. გაიოზი მაინც სულ სხვაა!
გ ი ო რ გ ი. ნესტან!
ნ ე ს ტ ა ნ ი. ბატონო!
გ ი ო რ გ ი. მე ერთხელ უკვე აგიკრძალე ასე ჰაერზე ლაპარაკი.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ხო... მაგრამ...

Scanned with CamScanner

გ ი ო რ გ ი. მოვიდეს, გაგვეცნოს, ვნახოთ...
ნ ე ს ტ ა ნ ი. ვერ მოდის, არ სცალია.
გ ი ო რ გ ი. საცოლესთან მოსასვლელად არ სცალია?
ნ ე ს ტ ა ნ ი. ძალიან დაკავებულია, იმდენი საქმე აქვს...
გ ი ო რ გ ი (მკაცრად). რა იცი-მეთქი?
ნ ე ს ტ ა ნ ი. არა, მე არ ვიცი, მაგრამ ასე ამბობენ, ხო, ყველა ასე ამბობს.
გ ი ო რ გ ი. მაინც ვინ?
ნ ე ს ტ ა ნ ი. აი, სალომე ამბობს ასე.
გ ი ო რ გ ი. სალომე ბავშვია.
ნ ე ს ტ ო რ ი. შენთვის სულ ბავშვი იქნება.
გ ი ო რ გ ი. სად მუშაობს ის კაცი?
ნ ე ს ტ ა ნ ი. სად მუშაობს არ ვიცი, მაგრამ...
გ ი ო რ გ ი. ესეც არ იცი. მაინც რა კაცია, ვინ არის? ხომ ხედავ, არაფერი იცი.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ერთი პატიოსანი, წესიერი კაცია, უკვე დადინჯებულია, გზაზე დამდგარი, ქვეყანა იცნობს, იმაზე კარგის მეტი არაფერი გამიგია. შენი ჭირიმე, გიორგი, ხომ უნდა გათხოვდეს ის გოგო ბოლოს და ბოლოს? უნდა შეველიოთ. შენ გგონია, ჩემთვის ადვილია? რა ვქნა...
გ ი ო რ გ ი. რა უნდა ქნა და ოჯახს უნდა მიხედო.
ნ ე ს ტ ა ნ ი. გიორგი, მაგის მეტს მე რას ვაკეთებ?
გ ი ო რ გ ი. გურამი სად არის?
ნ ე ს ტ ა ნ ი. აივანზეა.
გ ი ო რ გ ი. ვარჯიშობს, ალბათ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ხო, რა იყო, დავუძახო?
გ ი ო რ გ ი. არა.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ახლა ყველა მისი ტოლი ვარჯიშობს.
გ ი ო რ გ ი. გამოცდები?
ნ ე ს ტ ა ნ ი. მეცადინეობს კიდეც.
გ ი ო რ გ ი. აბა, ვნახოთ. (კართან მიდის.)
ნ ე ს ტ ა ნ ი. ვნახოთ... (კართან მიდის.)
ნ ე ს ტ ა ნ ი (ცოტა ხნის მერე). სალომეს ხომ არ დავუძახო?
გ ი ო რ გ ი. სალომეს?
ნ ე ს ტ ა ნ ი. სალომე! სალომე!

შემოდის სალომე, მამას შესცქერის, მერე კისერზე ჩამოეკიდება და აკოცებს.

გ ი ო რ გ ი. მამა აღარ გახსოვს...
(მიდის, კარებში აბესალომს შეეჯახება).
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. პატიოსან საზოგადოებას ჩემი სალამი!

გიორგი თავს დაუკრავს და წავა. აბესალომი სასადილო ოთახში შემოდის.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აშენდა, ბატონო, ქვეყანა, აშენდა! არ გაიპაროთ ძილში. სალომე, რა მადლობელი ვარ, რომ იცოდე, გაიოზის...
ს ა ლ ო მ ე. დიდი რამე, ბიძია აბესალომ.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არა, სიგარეტს მეც კი ვიყიდდი, მარა, რომ გამომიგზავნიან და პატივს მცემენ, რომ გავახსენდები, ეს სულ სხვაა. ეს სიგარეტი ასე დამაქვს, არც გავხსნი. „სტიუარდესა!“ ვინ არის სტიუარდესა, ხომ იცი?
ს ა ლ ო მ ე. როგორ არა.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სტიუარდესა ლამაზი ვოგოა! გააბოლე, აბესალომ, ეს კარგი სიგარეტი და იყავი შენთვის. დიდი მადლობელი ვარ, დიდი, ასე გადაეცი.
ს ა ლ ო მ ე. გადავცემ, ბიძია აბესალომ.

აბესალომი სამზარეულოში შედის, სალომე — თავის ოთახში. რეკავს ზარი, გამორბის მარიკა.

მ ა რ ი კ ა. ახლავე, ახლავე! (აღებს კარს, შემოდის საშინაოდ მორთული შუახნის ქალი.)
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გამარჯობა, მარიკა!
მ ა რ ი კ ა. გამარჯობათ, დეიდა ელისაბედ, მობრძანდით!
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. შეიძლება, არა?
მ ა რ ი კ ა. მობრძანდით, მობრძანდით!
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მხოლოდ ერთი წუთით.

აბესალომი თავს გამოყოფს სამზარეულოდან.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დილა მშვიდობისა, ქალბატონო ელისაბედ!
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გამარჯობათ.

Scanned with CamScanner

მარიკა და ელისაბედი მარიკას ოთახში შედიან. იქ ბადრია. ელისაბედი ბადრის ესალმება.

ელ ი ს ა ბ ე დ ი. გამარჯობათ, მხოლოდ ერთი წუთით...

ბადრი თავს უკრავს. ელისაბედი ფანჯარას მიეარდება, მერე მეორე ფანჯარასთან გადაინაცვლებს, ისევ პირველს დაუბრუნდება.

ბ ა დ რ ი (მარიკას). რა უნდა?

მ ა რ ი კ ა. არაფერი, ფანჯრიდან იხედება ხოლმე.

ბ ა დ რ ი. თვითონ ფანჯარა არა აქვს?

მ ა რ ი კ ა. იქიდან არ ჩანს.

ბ ა დ რ ი. რა?

ელ ი ს ა ბ ე დ ი. დაიწყო! (გარბის მეორე ფანჯარასთან.)

მ ა რ ი კ ა. მოპირდაპირე სახლში ცოლ-ქმარი ჩხუბობს ხოლმე.

ელ ი ს ა ბ ე დ ი. დგას და რაღაცას უხსნის, რა უნდა გააგებინოს იმ მხეცს!

მ ა რ ი კ ა. აინტერესებს.

ბ ა დ რ ი. საკვირველია.

მ ა რ ი კ ა. ხო... დიდი ხანია აღარ მოსულა.

სასადილო ოთახში შემოვა გურამი, წელზევით შიშველია. მაგნიტოფონს ჩართავს, გავა. ცოტახანის მერე შემოვა ნესტანი, მაგნიტოფონს გამორთავს, გავა.

ბ ა დ რ ი. კი მაგრამ, რა აინტერესებს?

მ ა რ ი კ ა. მოწაფე ორ საათზე მოვა, არა?

ბ ა დ რ ი. ხო... მე რომ ორ საათზე ინსტიტუტში სხდომა მაქვს?

მ ა რ ი კ ა. ბევრ დროს კი გართმევს.

ბ ა დ რ ი. რა ვქნა, უნდა დავეხმარო, დედას მეზობელია. მაშ, ასე ერთობა ხოლმე?

მ ა რ ი კ ა. წარმოგიდგენია?

ბ ა დ რ ი. მარტოხელაა, ალბათ.

მ ა რ ი კ ა. ხო... სამი კატა ჰყავს: დო, რე, მი.

ელ ი ს ა ბ ე დ ი (მობრუნდება). ჩუ! (თავისთვის.) ფარდა მაინც ჩამოიფარონ, ასე როგორ შეიძლება!

ბ ა დ რ ი. თუმცა...

ელ ი ს ა ბ ე დ ი. ჩუ!

ბ ა დ რ ი (სიცილით). ამ სახლში ყველა მაჩუმებს. ეს უცხო ქალიც კი.

მ ა რ ი კ ა. მაგას უყურებ?

ბ ა დ რ ი. ისე ვთქვი.

მ ა რ ი კ ა. ნუ იცინი ასე...

ბ ა დ რ ი. როგორ?

მ ა რ ი კ ა. ასე... არ მიყვარს.

ბ ა დ რ ი. კარგი, აღარ გავიცინებ.

მ ა რ ი კ ა. გეხუმრე, მართალი გეგონა?

ბ ა დ რ ი. აჰ, როგორ შეიძლება მართალი მგონებოდა!

ელ ი ს ა ბ ე დ ი. ახლა ქალიც ყვირის, ხელში თეფში უჭირავს და ყვირის. (გარბის მეორე ფანჯარასთან.) ბავშვებიც აქ ყოფილან! ბავშვები მაინც გაიყვანონ გარეთ!

მ ა რ ი კ ა. ნუ ლაპარაკობ ასე, გთხოვ.

ბ ა დ რ ი. ნუ ვლაპარაკობ ასე საზიზღრად, არა?

მ ა რ ი კ ა. ბადრი?

ბ ა დ რ ი. ნუ ვლაპარაკობ, ნუ ვიცინი... მე ხომ აქ უცხო ვარ! ვის რად უნდა უბინაო სიძე? დილით ოქროა სტუმარი, მაგრამ...

მ ა რ ი კ ა. განა აქ ყველა თავს არ გევლება?

ბ ა დ რ ი. მართალი ხარ, ყელამდე ვარ თქვენი პატივისცემით. ისე, კაცმა რომ თქვას, რა მაკლია? ცხოვრება თავისით ამეწყო: კარგი ცოლი, სიმამრი პროფესორი, კათედრის გამგე, მე მისი თანამშრომელი, ამოდენა ბინა... მერე რა, რომ დედაჩემი მარტო ცხოვრობს, დიდი ამბავი! როგორ არ გესმის, რომ არ შემიძლია თქვენსავით თეფშით ხელში სამზარეულოში შესვლა: დეიდა დარო, ბულიონი დამისხით, დეიდა დარო, კარტოფილი მინდა...

მ ა რ ი კ ა. შენ ყველას უყვარხარ აქ.

ბ ა დ რ ი. გიუდებიან!

მ ა რ ი კ ა. თუ გინდა, დეიდა დარო საჭმელს აქ შემოგიტანს.

ბ ა დ რ ი. მთლად სამასხარაო გავხდე არა?

მ ა რ ი კ ა. არ-ვიცი, რა ვქნა... აღარ ვიცი.

ელ ი ს ა ბ ე დ ი. მგონი, სარკე გატეხეს, სარკე!

ს ა ლ ო მ ე ს ხ მ ა. მარიკა, ჩემთვის ხომ არ დაურეკავთ?

Scanned with CamScanner

მ ა რ ი კ ა. არა! როგორ მინდა ახლა ტყეში ვიყო, მარტო, სულ მარტო.

ბ ა დ რ ი. მეც მაგას გეუბნები, თავიდანვე ცალკე უნდა გვეცხოვრა.

მ ა რ ი კ ა. როგორ უნდა გვეცხოვრა ცალკე?

ბ ა დ რ ი. მე ასე არ შემიძლია. დეიდა დარო, ბულიონი დამისხით, თუ შეიძლება...

მ ა რ ი კ ა. მითხარი, როგორ უნდა გვეცხოვრა ცალკე?

ბ ა დ რ ი. დეიდა დარო, შემწვარი კარტოფილი, თუ შეიძლება...

მ ა რ ი კ ა. სულ ხუთი თვეა, რაც შენი ცოლი ვარ.

ბ ა დ რ ი. მხოლოდ ხუთი თვე?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ბავშვები ტირიან, გესმით? ბავშვები ტირიან!

მ ა რ ი კ ა. თითებზე შეიძლება დღეების დათვლა. განა მთავარი ის არ არის, რომ ერთად ვართ?

ბ ა დ რ ი. შენ ისევ ბავშვი ხარ.

მ ა რ ი კ ა. მერე რა, ცუდია?

ბ ა დ რ ი. დგება დრო, როცა კაცი უსათუოდ ჭკუაში უნდა ჩავარდეს. ისე არ ვარგა.

მ ა რ ი კ ა. ჭკუაში რომ ჩავვარდებით, ამით რა შეიცვლება? აღარ გვეყვარება ერთმანეთი? აღარ გაგვეხარდება რამე? განა ეს უჭკუობაა, ჩვენ რომ ერთმანეთი გვიყვარს?

შემოდის აბესალომი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ბადრი, გალსტუკი მათხოვე, თუ ძმა ხარ!

ბ ა დ რ ი. სიამოვნებით, კარადაშია, რომელიც მოგეწონებათ, აიღეთ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დიდი მადლობა, ჩემო ბადრი.

ბ ა დ რ ი. არაფრის, არაფრის.

აბესალომი მიდის.

ბ ა დ რ ი. ერთი ეს არის კიდევ...

მ ა რ ი კ ა. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

ბ ა დ რ ი. როდის? ხვალ? თუ ზეგ? იქნებ მაზეგ? მერე დავბერდები კიდეც. მაშინ რაღა მეშველება? ვინ მაჭმევს ფაფას?

მ ა რ ი კ ა. გაჩუმდი!

ბ ა დ რ ი. ლაპარაკსაც მიკრძალავ? მე დღეს მინდა ვიყო კარგად.

მ ა რ ი კ ა. **რატომღაც მგონია, რომ...**

ბ ა დ რ ი. რატომღაც მგონია, რატომღაც მჯერა, რატომღაც მწამს! რა უნდა მწამდეს? ის რომ დედამიწა ბრუნავს? დღეს ღამე რომ ცვლის? დღედაღამეში რომ ოცდაოთხი საათია? სოკრატე რომ ადამიანია? მეც ხომ ადამიანი ვარ?

მ ა რ ი კ ა. მაგრამ სოკრატე ხომ უკვდავიცაა?

ბ ა დ რ ი. შენთან ლაპარაკი არ შემიძლია. საიდან იცი მაინც ამდენი. რაღა მე შემხვდა ასეთი ჭკვიანი ცოლი!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ჩუმად! ჩუმად! ქმარი მიდის!

მ ა რ ი კ ა. რომ იცოდე, როგორ არ მომწონს ასეთი ლაპარაკი... როგორ არ მინდა...

ბ ა დ რ ი. არც მე მინდა... მეყოფა!

მ ა რ ი კ ა. რა თქვი?

ბ ა დ რ ი. რა მინდა, რატომ ვჩხუბობ? რამე შეიცვლება თუ რა? ერთი და იგივე იქნება ყოველთვის... დო, რე, მი...

მ ა რ ი კ ა. გინდა მე თვითონ მოგიმზადებ საუზმეს?

ბ ა დ რ ი. არა, ინსტიტუტში ვისაუზმებ.

მ ა რ ი კ ა. შენ მართლა გერიდება დეიდა დაროსი?

ბ ა დ რ ი. რას ამბობ, მე აქ ყველას ვუყვარვარ.

სამზარეულო. ნესტანი და აბესალომი. აბესალომი ჩაიში შაქარს იყრის.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სიცოცხლე, ბედნიერება, ჯანმრთელობა, ფული, ბინა, მანქანა...

ნ ე ს ტ ა ნ ი. გეყოფა, აბესალომ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა იყო, ქალო, მართლა მანქანას კი არ ვაგდებ ამ ჭიქაში!

ნ ე ს ტ ა ნ ი. მოგკლავს ამდენი შაქარი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჯერ არავინ მოუკლავს და რაღა მე დამეტაკება!

ნ ე ს ტ ა ნ ი. ამბობენ, არ არისო მაინცდამაინც კარგი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რასაც ამბობენ, ყური რომ დავუგდო, სად წავალ!

ნ ე ს ტ ა ნ ი. დიდი ჯიუტი კაცი ხარ, აბესალომ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კარგი კაცი ვარ, კარგი, მაგრამ ვინაა პატრონი. კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო, ხომ გაგიგონია? კარაქი მომაწოდე. არა, ბატონო, ამ სახლში წესრიგი ნამდვილად არ არის. ესაა ქალაქელები ვართო? ჩემთან, ბა-

Scanned with CamScanner

ტონო, სოფელში, სტუმარი რომ მომივა, აბა მობრძანდი, დაბრძანდი, მირთვი და გადაიღე. ეს უკეთესია, ამას ტყემალი მოუხდება, ამას — ქინძმარი. ეს ღვინო არ დალიო, ეს უფრო ცივია. აბა რა გგონია, ასე უნდა, ბატონო. აქ კი... სტუმარი საშველს თვითონ ეძებდეს, პირველად ვნახე მე! სუფრა გაშალე, გამოიტანე, დაყარე, თვალი ჭამს და თვალი სვამს, თორემ ახლა მშიერი კაცი არ დადის ამ ქვეყანაზე. რომ მოგეკალი, დილით ჩაის დამალევინებდი მე? გრიპი კი არა მჭირს, ჩაი რომ დავლიო! ეეე, საცოდავო მარიამ, შენ რომ ახლა შენი ქმრის გაჭირვებას უყურებდე, გავროშივით რომ იპარავს პურს და კარაქს...

ნ ე ს ტ ა ნ ი. როგორ გეკადრება, აბესალომ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დამაცადე, ქალო! მარა რომ არა ხარ ამ ქვეყანაზე? კარგია, კარგი, ჩემს გაჭირვებას რომ არ უყურებ, თორემ მაინც მოკვდებოდი და, რა გინდა? არაა საშველი, ბატონო. კარგი ქენი, ჩემო მარიამ, რომ წახვედი, სწორედ დროზე გასწარი ამ უბედურებას. დრო უნდა იცოდეს კაცმა, თავისი დრო. კინო რომ გათავდება, ხომ მიდიხარ სახლში? ასე უნდა ადგე და წახვიდე. ძვირფასი ქალი იყო მარიამი, ძვირფასი. საადა ახლა ასეთი ქალები, ერთი მაჩვენე, ერთი და, გავჩუმდები.

ნ ე ს ტ ა ნ ი. ელისაბედს რას უწუნებ ვითომ? შენ თვითონ არ თქვი, კარგი ქალიაო?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ელისაბედი, გენაცვალე, ძველი ქალია.

ნ ე ს ტ ა ნ ი. აჰ, ნუ დააბერე მთლად, შე კაი კაცო.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ისე ნეკზე არ მიკბინოს, მარა... არა, მთლად ბებერი და დაჩაჩანაკებული კი არაა, რამდენი წლისა იქნება ნეტავი?

ნ ე ს ტ ა ნ ი. ორმოცდაათის არ იქნება ვითომ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აჰ!

ნ ე ს ტ ა ნ ი. რა იყო?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაგი იქნება ასე ორმოცდარვა, ორმოცდაცხრა წლის, მეტი არაფრის გულისთვის არ იქნება.

ნ ე ს ტ ა ნ ი. აბა, მე რა ვთქვი?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ორი წელია სიყვარული, გენაცვალე, მეტი კი არა.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რომელ სიყვარულზე ლაპარაკობ, აბესალომ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა დასამალია, ჩემო ნესტან, და ხომ ხარ შენ დედაჩემის ნათლული?

ნ ე ს ტ ა ნ ი. როგორ არა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ახლა აღარავის ახსოვს ნათელ-მირონი, თორემ ისე, კარგი ახლო ნათესავები ვართ ჩვენ.

ნ ე ს ტ ა ნ ი. მერე ვინ გითხრა, აბესალომ, ნათესავები არა ვართო, იქნებ ვინმემ გაწყენინა ამ სახლში?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჰოდა, მაშინ ეს საქმე უნდა გამიკეთო. მომწყინდა სოფელში გდება. სამი თვე რომ ვარ თქვენთან გაჩერებული და სახედარივით ფეხს არ ვიცვლი, განა არ ვიცი, რომ არ არის ეს საკადრისი, მაგრამ რა ვქნა, ნესტან, მოვიდა ჩემი წასვლის დროც.

ნ ე ს ტ ა ნ ი. დარჩენილიყავი, აბესალომ, რა გეჩქარებოდა!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაგრამ არ წავალ, რომ იცოდე. სად წავიდე? მარიამი აღარ არის, შვილი მე არ მყავს და ძირი. კოლმეურნეობის კანტორაში მოანგარიშედ ვითომ ახლა ვერავინ შემცვლის მე, თუ კადრები არა გვყავს? აქ უნდა დავრჩე, ჩემო ნესტან, მეც მინდა ადამიანურად ვიცხოვრო. გავივლი, გამოვივლი, რა უჭირს, დაშავდება რამე თუ? უცებ არ გაუკვირდეთ ამოდენა ქალაქში. არიქა, აბესალომი მოგვმატებიაო, შენც არ მომიკვდე, ვინმემ შემამჩნიოს. ვიქნები ჩემთვის წყნარად.

ნ ე ს ტ ა ნ ი. სად, აბესალომ? ჩვენ, ხომ ხედავ... ისე, დიდი სიამოვნებით, მაგრამ... ორი ქალიშვილი სახლში მყავს, სიძე, ბურამი... ისე, დიდი სიამოვნებით...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დიდი კი არა, ნამეტანი დიდი სიამოვნებით დამტოვებდი, შენი ამბავი რომ ვიცი.

ნ ე ს ტ ა ნ ი. როგორ გეკადრება, აბესალომ? დარჩი, ბატონო, როგორც ვიქნებით...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ხო, წევს აბესალომი ლოჯიაში მშვიდად, [illegible] პიონერი არტეკში.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რა ვქნა, სხვა ადგილი რომ არა მაქვს?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არა, მე აქ დამრჩენი არა ვარ!

ნ ე ს ტ ა ნ ი. რა უჭირს, გავიჭვირვებთ ცოტას, [illegible]...

Scanned with CamScanner

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არა, არა და არა!

ნ ე ს ტ ა ნ ი. ნამეტანი წყენია კაცი ხარ, სიმართლე რომ გითხრა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. წყენია შეიძლება ვიყო, მაგრამ სულელი ნამდვილად არა ვარ. თქვენთან დამრჩენ კაცს ვგავარ ახლა მე?

ნ ე ს ტ ა ნ ი. ვაი, საცოდავო აბესალომ! ბაბილონში ვიცხოვრებ მე? რატომაა ვითომ ეს სახლი ბაბილონი?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ბაბილონი მე არ მითქვამს, გენაცვალე, ეგ თქვენმა სიძემ ბრძანა გუშინ. რა ვიცი მე რა არის ბაბილონი, მაგრამ საქმე რომ ვერ არის მაინცდამაინც კარგად, ამდენს კი ვხვდები.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რა სხვანაირად ლაპარაკობ, აბესალომ, რომელი საქმე ვერ არის კარგად? ჩემს ოჯახზე ჯერ ცუდი არავის უთქვამს და რატომ კადრულობ, არ მესმის. თუ ასეა, ბატონო, ნამდვილად ვერ დაგაკავებ, ბავშვი არა ხარ და, როგორც გერჩიოს, ისე მოიქეცი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, მაგას არ გეუბნები მეც? აგერ რომ ვიცხოვრო თქვენს გვერდით, მეზობლად, დაშავდება ვითომ რამე?

ნ ე ს ტ ა ნ ი. სად?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აგერ ა, ყურის ძირში. ნათესავიც ახლოს გეყოლება და მე ვიცი შენი პატივისცემა.

ნ ე ს ტ ა ნ ი. კი მაგრამ, სად გინდა მაინც რომ იცხოვრო?

სასადილო ოთახში შემოდის გურამი, მაგნიტოფონს რთავს, გადის.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩემი ბინა მექნება. მეც შემიძლია პორტფელი დავიჭირო შენი ქმარივით და ვიქნები ბედნიერად.

ნ ე ს ტ ა ნ ი. ჩემი ქმარი მეტს არაფერს აკეთებს თუ? მთლად ნუ გაგვლანძღავ, აბესალომ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაგი არ მიფიქრია, გიორგის მე როგორ პატივს ვცემ, შენც კარგად იცი, მაგრა ჩვენი სასახელო სიძე, პროფესორი, თითით საჩვენებელი კაცი, თვითონ ვერ შეხვდა ისეთი სიძე, როგორც ეკადრებოდა, მაგრამ...

ნ ე ს ტ ა ნ ი. ვითომ რა სჭირს ბადრის შენი დასაწუნი?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გეტყვი და გეწყინება, მაგრამ... დამაცადე ერთი წუთით. (სასადილო ოთახში გადის, მაგნიტოფონს აჩუმებს,

გურამი გამოხედავს.)

გ უ რ ა მ ი. ადამია ეგ, ბიძია აბესალომ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ეგ თუ ადამია, მე ადამიანი ვარ, შე კაცო!

გ უ რ ა მ ი. არ ვიცოდი თუ გაწუხებდით, ბოდიშს ვიხდი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (სამზარეულოში ბრუნდება). ნამეტანი ზრდილობიანია ეს ბიჭი, რაცხას იზამს უსათუოდ.

ნ ე ს ტ ა ნ ი. ვინ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, უნდილია-მეთქი შენი სიძე. პაპიროსს მაგი არ ეწევა, ღვინოს მაგი არ სვამს, არა, დამაცადე, ლოთობაზე არ მოგახსენებ, მაგრამ ერთი ჭიქა ღვინო კი უნდა დალიოს კაცმა, ისე როგორ შეიძლება, ჭიქა არ უნდა მოგიჭახუნოს?

ნ ე ს ტ ა ნ ი. კარგი, აბესალომ, კარგი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაგრამ მეორე სიძე გეყოლება ძვირფასი. ა, რა პაპიროსი გამომიგზავნა, „სტიუარდესა“, ესიამოვნებაო, აბა!

ნ ე ს ტ ა ნ ი. იცნობ თუ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სამსახურიც დამპირდა და თბილისში ჩაწერაც. არა, პირადად არ ვიცნობ. სალომეს ვთხოვე და შემოუთვლია, აბესალომს არაფერს გავუჭირვებო. უსამსახურო კაცი კამათელივითაა, ჩემო ნესტან, გინდა შაშზე დასვამ, გინდა იაგანზე. რა ვარ მე? იაგანი ხარ, აბესალომ, იაგანი. მაგრამ ცაიოზი უსათუოდ მომეხმარება. რა მოხდება, ვითომ, ისეთი სამსახური მიშოვოს, კოსტუმის გახდა რომ არ სჭირდება. მაგას ყველაფერი შეუძლიაო, მითხრეს.

ნ ე ს ტ ა ნ ი. ვინ გითხრა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მითხრეს. მოკლედ, ელისაბედი უნდა შემრთო ცოლად. ქვრივი ქალია, ბინა აქვს, რა უნდა ახლა მაგას? მაგას უნდა ჩემისთანა ყაზახი! წარმოსადეგი, კარგი სიტყვაპასუხის პატრონი, უშვილო, ბატონო, უშვილო! დარბაისელი. რა გაცინებს, ქალო, რას ვამბობ სასაცილოს?

ნ ე ს ტ ა ნ ი. კი მაგრამ... შენ რა გითხრა, აბესალომ... კი მაგრამ, როგორ უნდა გავაკეთო ეს საქმე, ახლა თქვენი სიყვარული...

Scanned with CamScanner

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ცოლ-ქმარს ერთმანეთი უყვარდეს, პირველად გა-
ვიგე მე! აქ შემოსვლას რომ მოუხშირა, ვერ შეატყვე?
ნ ე ს ტ ა ნ ი. ეგ სულ ასე შემოდის, რამ გაფიქრებინა, შე შეჩვენე-
ბულო.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დამასახლე ამ ჩვენს მშვენიერ დედაქალაქში და
რაც გინდა სამაგიერო მთხოვე.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ისე მელაპარაკები, თითქოს მაჭანკალი ვიყო.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აბა, მე ჩავუსაფრდები ერთი მაგას კარგად და
ვნახოთ...

ნარიკას ოთახი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი (ეტყობა, მოპირდაპირე სახლში ჩხუბი დამთავრ-
და). მარიკა!
მ ა რ ი კ ა. მიბრძანდებით?

სასადილო ოთახში გამოდიან.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მივდივარ, დიდი მადლობა.
მ ა რ ი კ ა. რას ბრძანებთ, დეიდა ელისაბედ.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გაწუხებთ ხოლმე.
მ ა რ ი კ ა. დიდი ამბავი.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. დედა მომიკითხე.
მ ა რ ი კ ა. დავუძახებ.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. აჰ, არა, არა, გმადლობთ. სალომე თუა შინ?

გამოდის სალომე, მარიკა თავის ოთახში ბრუნდება.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გამარჯობა, სალომე!
ს ა ლ ო მ ე. გამარჯობათ, დეიდა ელისაბედ!
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უთხარი გაიოზს?
ს ა ლ ო მ ე. დიახ.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. რაო?
ს ა ლ ო მ ე. გვაკეთებო, დეიდა ელისაბედ, აუცილებლად გაკეთებს.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. დიდი მადლობელი ვარ შენი, დიდი მადლობელი. აბა, კარგად იყავი (კოცნის.)

ამ დროს აბესალომი გამოენთება სამზარეულოდან.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა გეჩქარებათ, ქალბატონო ელისაბედ! (კარის გა-
ღებაში ეხმარება.)

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. როგორი თავაზიანი ხართ, ბატონო სეევერიანე.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აბესალომი, ქალბატონო, აბესალომი.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაპატიეთ, ბატონო აბესალომ, ნახვამდის.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ნახვამდის, ქალბატონო ელისაბედ! (მარტო.) ვისში
ვეშლები ნეტავი? (შედის სამზარეულოში, სალომე თავის
ოთახში ბრუნდება. გამოდის გურამი, მაგნიტოფონს რთავს.)
ნ ე ს ტ ა ნ ი (სამზარეულოდან). გურამ!
გ უ რ ა მ ი. რა იყო, დედიკო?
ნ ე ს ტ ა ნ ი (გამოდის). გამორთე ეგ მაგნიტოფონი, წიგნი აიღე,
წიგნი!
გ უ რ ა მ ი (წიგნს უჩვენებს). აი, დედიკო, წიგნი.
ნ ე ს ტ ა ნ ი. მადლობა ღმერთს.
გ უ რ ა მ ი. დედიკო, მომე რა, მანქანის გასაღები!
ნ ე ს ტ ა ნ ი. გასაღები მამაშენმა ჩაკეტა უჯრაში, სანამ გამოცდებს
არ ჩააბარებ, ვერ ეღირსები!
გ უ რ ა მ ი. დედიკო, მამა ტირანია, შენ კი ტირანის ცოლი ხარ!
(შემოდის მარიკას ოთახში, საწოლზე წამოწვება.)
ს ა ლ ო მ ე (შემოდის). მარიკა, არ დაურეკავს?
მ ა რ ი კ ა. შენს ოთახში ტელეფონის ზარი არ ისმის? ვინ უნდა
დაგირეკოს, გაიოზმა?
ს ა ლ ო მ ე. ხო.
მ ა რ ი კ ა. გასაგებია.
ს ა ლ ო მ ე. რა არის გასაგები?
მ ა რ ი კ ა. კარგი, კარგი.

სალომე გაბრუნდება, მაშინვე მოტრიალდება.

ს ა ლ ო მ ე. მარიკა, მოდი ერთი წუთით აქ.

სასადილო ოთახში გადიან.

ს ა ლ ო მ ე. გაიოზმა თუ დარეკოს...
მ ა რ ი კ ა. დღეს ხომ უკვე მოგართვა ყვავილები?
ს ა ლ ო მ ე. რა არის მერე ამაში ცუდი? რა დაგიშავა?
მ ა რ ი კ ა. სიმართლე რომ გითხრა, არ ვიცი.
ს ა ლ ო მ ე. აი, ხომ ხედავ! თქვენ რომ გიყურიოთ, გაუთხოვარი დაგ-
რჩები. მოდი რა გაჩვენო, დაჯექი აქ, ახლავე გამოვალ, არ

Scanned with CamScanner

წახვიდე! (ტახტზე სვამს, თვითონ ოთახში შედის, მაშინვე ბრუნდება, მარიკას გვერდით ჯდება.) აი! (უჩვენებს პაწაწინა ყუთს, ხსნის.)

მ ა რ ი კ ა. საყურეები?

ს ა ლ ო მ ე. ხო.

მ ა რ ი კ ა. ბრილიანტის საყურეები!

ს ა ლ ო მ ე. მოგწონს?

მ ა რ ი კ ა. კი მაგრამ, ეს ხომ, ალბათ, ძალიან ძვირი ღირს, რამოდენა ბრილიანტებია!

ს ა ლ ო მ ე. შენ არ აიღებდი?

მ ა რ ი კ ა. რა ვიცი... რა კარგია! შეიძლება გავიკეთო? (სარკესთან მიდის, ერთ ცალ საყურეს იკეთებს.)

ს ა ლ ო მ ე. რა უნდა მექნა?

მ ა რ ი კ ა (სარკეში იხედება). ბადრის საქორწილო ბეჭედი დღემდე არ უყიდია. ანდა საიდან უნდა იყიდოს? ჩვენი ცხოვრებაც თუ ცხოვრებაა. შენ კიდევ არ იცი, ყველაფერს ხომ ვერ ვიტყვი... განა ბადრი ტყუის? საკუთარი საწოლიც არა გვაქვს... ბედნიერი ხარ, სალომე, ბედნიერი.

ს ა ლ ო მ ე. განა სიმდიდრეშია ბედნიერება? არ ვიცი, რა იქნება... მოიხედე! როგორ გიხდება! გინდა შენი იყოს!

მ ა რ ი კ ა (შეცვლილი ხმით). დიდი მადლობა (იხსნის საყურეს, აძლევს.) შენ უფრო მოგიხდება.

ს ა ლ ო მ ე. რა, გეწყინა?

მ ა რ ი კ ა. რას ამბობ, სალომე, რა უნდა მწყენოდა? მართლა თხოვდები? (უცებ ტირილი აუვარდება, ჩაეხვევა, ორივე ტირის. ცოტა ხნის მერე.) რა სულელი ვარ!

ს ა ლ ო მ ე (ცრემლს იწმენდს). სულელები!

მ ა რ ი კ ა. კი მაგრამ, იმას ხომ ცოლი ჰყავს?

ს ა ლ ო მ ე. ჰყავდა. აღარ შეეძლო იმასთან ცხოვრება. ნუთუ არ გესმის, სულ სხვადასხვანაირები იყვნენ, ხომ ხდება ასეთი რამე?

მ ა რ ი კ ა. იმას ხომ შვილებიც ჰყავს?

ს ა ლ ო მ ე. ჰყავს, ხო, ჰყავს. დამანებე თავი. მე ხომ არ ვერევი თქვენს საქმეში.

გადის. მარიკა ცოტა ხანს ტახტზე ზის. მერე თავის ოთახში შებრუნდება. გურამი ისევ ისეა წამოწოლილი.

მ ა რ ი კ ა (უყვირის). ახლავე ადექი, ადექი!

გ უ რ ა მ ი. რატომ უნდა ავდგე?

მ ა რ ი კ ა. იმიტომ, რომ ეს ბადრის საწოლია!

გ უ რ ა მ ი. ადრე ჩემი იყო.

მ ა რ ი კ ა. გურამ!

გ უ რ ა მ. აუ, შეუბერა ახლა!

ბ ა დ რ ი. გაანებე თავი, იწვეს.

მ ა რ ი კ ა. უსირცხვილო!

გ უ რ ა მ ი. ასე იცით ბებრებმა, თქვენი ბედნიერების გულისთვის ბავშვებს სიცოცხლეს უმწარებთ.

მ ა რ ი კ ა. კარგი ბავშვი ხარ.

გ უ რ ა მ ი. რა მოხდა, მერე ვეღარ დაწვებით ამ ლოგინში თუ რა? მოესწრებით!

მ ა რ ი კ ა. გაჩუმდი, თავხედო!

გ უ რ ა მ ი. აი, ხომ ხედავ! ბავშვი წიგნს კითხულობს, თავისთვის, არავის ხელს არ უშლის, თქვენ კი უყვირით.

მ ა რ ი კ ა. ვიცი ეგ რა წიგნებიცაა, ქიმიის სახელმძღვანელო უნდა გეჭიროს ხელში.

გ უ რ ა მ ი. ა�ა, მივხვდი, მივხვდი, შიგ სიყვარულის ამბავი რომ არ წერია, იმიტომ არ მოგწონს ხომ? რა თქმა უნდა, ეს „რომეო და ჯულიეტა“ არ არის, არც „ტრისტანი და იზოლდაა“.

მ ა რ ი კ ა. რომელიმე წაგეკითხოს მაინც.

გ უ რ ა მ ი. სიყვარული წიგნიდან კი არ უნდა ისწავლო, აი, რა არის თქვენი ნაკლი.

მ ა რ ი კ ა ახლავე ადექი, უზრდელო!

გ უ რ ა მ ი. მარიკა, ვერ ატყობ, რომ შენგან მშვენიერი მასწავლებელი დადგებოდა. რა გინდოდა თეატრში, როგორ შეიძლება ნიჭის ასე დაღუპვა.

ბ ა დ რ ი. მე მიდივარ, მაგვიანდება.

გ უ რ ა მ ი. აი ბადრისგან კი კარგი ბავშვი დადგება.

მ ა რ ი კ ა. მეორე წელია ინსტიტუტში ვერ შესულხარ.

გ უ რ ა მ ი. ვთქვათ და ინსტიტუტში შევედი, მერე?

Scanned with CamScanner

მ ა რ ი კ ა. მერე დაამთავრებ!
გ უ რ ა მ ი. ვთქვათ და დავამთავრე, მერე?
მ ა რ ი კ ა. სამსახურში მოეწყობი.
გ უ რ ა მ ი. ვთქვათ მოვეწყვე, მერე?
მ ა რ ი კ ა. მერე... მერე იმუშავებ, კრეტინო!
გ უ რ ა მ ი. ვთქვათ ვიმუშავე, მერე?
მ ა რ ი კ ა. გაჩუმდი!
გ უ რ ა მ ი. ვთქვათ გავჩუმდი, მერე?
მ ა რ ი კ ა. ღმერთო ჩემო!
ბ ა დ რ ი. გურამ, შენთან ერთი სათხოვარი მაქვს.
გ უ რ ა მ ი. გესმის, მარიკა, აი, ასე უნდა ლაპარაკი.
ბ ა დ რ ი. ჩემთან ორ საათზე მოწაფე უნდა მოვიდეს, შენ ხომ იცნობ იმას?
გ უ რ ა მ ი. ისე, შორიდან.
ბ ა დ რ ი. მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ეტყვი, რომ დღეს არ მცალია, ხვალ მოვიდეს ორ საათზე.
გ უ რ ა მ ი. სიამოვნებით შეასრულებ თქვენს თხოვნას.
ბ ა დ რ ი. აბა, მე წავედი.

სასადილო ოთახში ბადრის ნესტანი აჩერებს.

ნ ე ს ტ ა ნ ი. სად გარბიხარ ასე უჭმელი?
ბ ა დ რ ი. ინსტიტუტში ვისაუზმებ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. რატომ, ჩვენთან არ შეიძლება? დაჯექი, შენთან საქმე მაქვს.
ბ ა დ რ ი. უკაცრავად, მეჩქარება.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ერთი წუთით დაჯექი (სხდებიან.) რა დაგემართათ, მითხარი.
ბ ა დ რ ი. რა უნდა დაგემართოდა?
ნ ე ს ტ ა ნ ი. რაღა მე შემხვდით ასეთი მორიდებულები, მოკრძალებულები...
ბ ა დ რ ი. არ მესმის, რას მეუბნებით.
ნ ე ს ტ ა ნ ი. სხვა ენაზე ხომ არ ვლაპარაკობ, იქნებ ქართულიც დამავიწყდა?
ბ ა დ რ ი. უკაცრავად.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ამ სახლში რამე გაკლია?

ბ ა დ რ ი. რას ბრძანებთ?
ნ ე ს ტ ა ნ ი. აქ შენ ყველას უყვარხარ.
ბ ა დ რ ი. ვიცი.
ნ ე ს ტ ა ნ ი. არც ის არის სამარცხვინო, ჩვენთან რომ ცხოვრობ.
ბ ა დ რ ი. როგორ გეკადრებათ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. გიორგი შენ განსაკუთრებულ პატივს გცემს, მერე რა, რომ იმის კათედრაზე მუშაობ, ვისაც რა უნდა, ის თქვას.
ბ ა დ რ ი. ბატონი გიორგი მე მამასავით მიყვარს.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები, თავიდანვე ყველაფერი კარგად კი არ იყო. მე ვიცი, რაც გაწუხებს შენ...
ბ ა დ რ ი. არაფერი არ მაწუხებს, ქალბატონო ნესტან.
ნ ე ს ტ ა ნ ი. მოგცემენ, ალბათ, ბინას, აბა რა იქნება, თუ ჩვენთან ცხოვრება არ შეიძლება... ეს სახლი მართლა ბაბილონი კი არ არის.
ბ ა დ რ ი. მარიკამ ხომ არ გითხრათ რამე? არ დაუჯეროთ, მე არაფერი არ მაწუხებს, მე ძალიან მადლობელი ვარ თქვენი.
ნ ე ს ტ ა ნ ი. მარიკას შენ ძალიან უყვარხარ, შენც ჩვენი შვილი ხარ. წადი ახლა, გაგვიანდება.
ბ ა დ რ ი. გთხოვთ, არ იფიქროთ, თითქოს...
ნ ე ს ტ ა ნ ი. წადი, წადი.
ბ ა დ რ ი. ნახვამდის, ქალბატონო ნესტან.
ნ ე ს ტ ა ნ ი. დედას ვერ დამიძახებ?
ბ ა დ რ ი. რა ვიცი...
ნ ე ს ტ ა ნ ი. გერიდება, ალბათ... როგორც გენებოს. ყველაფერი მიჩვევაზეა.
ბ ა დ რ ი. დიახ, რა თქმა უნდა.
ნ ე ს ტ ა ნ ი. აბა, შენ იცი...
ბ ა დ რ ი. ნახვამდის (მიდის.)
ნ ე ს ტ ა ნ ი. დარო! დარო! (შემოდის დარო, ცოცხი უჭირავს.) დარო!
დ ა რ ო. გისმენ, ქალო, ყრუ ხომ არა ვარ!
ნ ე ს ტ ა ნ ი. თაიგული რა უყავი?
დ ა რ ო. გიორგის ოთახში შევიტანე. ეგ გოგო ბედნიერი იქნება.
ნ ე ს ტ ა ნ ი. სალომე ლამაზი გოგოა, ყვავილებსაც გამოუგზავნიან და, რა ვიცი, ათას რამეს...

Scanned with CamScanner

დ ა რ ო. მაგის გულისთვის კაცს ცოლ-შვილი მიუტოვებია.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ვინ გითხრა?
დ ა რ ო. ნესტან, ისე მელაპარაკები, თითქოს უცხო ვიყო. ყურები არა მაქვს თუ რა?
ნ ე ს ტ ა ნ ი. შენ მაინც ნურასად იტყვი.
დ ა რ ო. სად უნდა ვთქვა?

შემოდის მარიკა.

მ ა რ ი კ ა. წავალ, მაგვიანდება.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ისაუზმე?
მ ა რ ი კ ა. არ მინდა.
ნ ე ს ტ ა ნ ი. აღარც საჭმელი გინდათ. ალბათ, მალე ფრენას დაიწყებთ.
მ ა რ ი კ ა. ხო, მალე ფრენას დავიწყებთ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. სადილად, იმედია, მოხვალ.
მ ა რ ი კ ა. ალბათ. (მიდის.)
ნ ე ს ტ ა ნ ი. დარო, მოდი ბაზარში ნუ წავალთ დღეს.
დ ა რ ო. როგორც შენ ბრძანებ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. გუშინდელი სადილიც ხელუხლებელია.
დ ა რ ო. გუშინ სადილის თავი ვის ჰქონდა?
ნ ე ს ტ ა ნ ი. სახლი ამერია, დარო, დაწყობილი სახლი.
დ ა რ ო. ბავშვები გაიზარდნენ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. მე კი მეგონა, დავისვენებ-მეთქი.
დ ა რ ო. ეჰ, ჩემო ნესტან, ქალის დასვენება ვინ თქვა. ის ბიჭი მაინც სულ მშიერია, სამზარეულოში არ შემოდის.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ბადრი?
დ ა რ ო. რცხვენია.
ნ ე ს ტ ა ნ ი. შეეჩვევა. ისე შენ ნურასად იტყვი.
დ ა რ ო. რანაირი ქალი ხარ, ნესტან, ამ ოჯახში დავბერდი და მაინც უცხო გგონივარ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. არა, ჩემო დარო, მაგიტომ არ მითქვამს, მე თვითონ არ ვიცი, რას ვამბობ. ბავშვები რომ გაიზრდებიან, დედა უნდა გადარიონ?
დ ა რ ო. თავიდან უნდა გეფიქრა.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ახლა შენ დამიწყე ჭკუის სწავლება, ყველა ასეთი

ბრძენი როგორ გამოხვედით. რა ვიცი, არავიზე ნაკლები არ ვიყავი და ბოლოს ყველას დასაცინი გავხდი. გათხოვილი ქალიშვილი შინ მიზის, მეორე ცოლშვილიანს მიჰყვება.
დ ა რ ო. ყველაფერი კარგად იქნება...
ნ ე ს ტ ა ნ ი. გურამია და... თუმცა, რა ქნას გურამმა...
დ ა რ ო. ისე თავზე ხელს კი უსვამ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. აბა, მამასავით გავებუტო?
დ ა რ ო. გიორგი სამართლიანი კაცია.
ნ ე ს ტ ა ნ ი. რაღაც ცუდს მეუბნება გული, რა ვქნა?

სამზარეულოში გადიან, შემოდის აბესალომი, ოთახში ბოლთას სცემს, შემოდის გურამი.

გ უ რ ა მ ი. უკაცრავად, ხელი შეგიშალეთ.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რაში შემიშალე, ბიჭო, ხელი?
გ უ რ ა მ ი. რა ვიცი, ჩაფიქრებული იყავით. შეიძლება მაგნიტოფონი ჩავრთო?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩართე, ბიძია, ჩართე. მართლა მოგწონს ეს სიმღერა?
გ უ რ ა მ ი. დიახ.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კარგია, ბიძია, კარგი.
გ უ რ ა მ ი. ახლა მე ამისთვის მცალია, ბიძია აბესალომ?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა ვუყოთ მერე. აბარებ ხომ?
გ უ რ ა მ ი. რომ ჩაბარო, რამე ხომ უნდა იცოდე?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. იცი შენ, ბიძიკო, იცი. სხვაზე მეტი კი გეცოდინება.
გ უ რ ა მ ი. სხვაზე მეტი, სხვაზე მეტი, რა შუაშია სხვა? არაფერიც არ ვიცი, ჩემი ნება რომ იყოს სულაც არ ჩავაბარებდი.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ქვეყანა ამაზე იკლავს თავს და შენ რა დაგემართა?
გ უ რ ა მ ი. რა ჩავაბარო, რა? ან ვის ჩავაბარო?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაგი შენ უკეთესად უნდა იცოდე, ბიძიკო, მე სოფლელი კაცი ვარ. გალსტუკის გაკეთება თუ იცი?
გ უ რ ა მ ი. გინდა გაგიკეთო?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გამიკეთე, შენი ჭირიმე, მარა, კარგად გამიკეთე.

Scanned with CamScanner

გ ურ ა მ ი. მიბრძანდებით სადმე, ბიძია აბესალომ? (უკეთებს ჰალ-
სტუხს.)

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ციხეში მივდივარ, ბიძიკო, ციხეში.

გ ურ ა მ ი. ციხეში რა გინდათ, ბიძია აბესალომ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კაცი რომ გამოსულელდება, ხომ იცი. ქე ვიყავი ჩემთვის, თავისუფლად, არც უფროსი მყავდა და არც ხელ-ქვეითი. ახლა... ჩემი ფეხით მივდივარ... ციხეა, აბა რა?

გ ურ ა მ ი. ასე მოგწონთ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (სარკეში იხედება). უფ, შენ იცოცხლე ას წელიწადს! არ გაახაროს ღმერთმა ის, ვინც შენ არ მიგიღებს უმაღლესში. პატარა საქმეა? ხომ მიხდება?

გ ურ ა მ ი. ვთქვათ, ჩავაბარე, ბიძია აბესალომ, მერე?

II

მაგიდასთან სალომე და პოლიკო სხედან. პოლიკო გამხდარი, ჩია კაცია. მუხლზე ჩალის ქუდი უდევს.

პ ო ლ ი კ ო. პირველად მხედავთ, არა?

ს ა ლ ო მ ე. დიახ.

პ ო ლ ი კ ო. მე კი დიდიხანია გიცნობთ. ასეც წარმომედგინა, სიმ-ყუდროვე, ყვავილები და... ილუზიები.

ს ა ლ ო მ ე. ილუზიები?

პ ო ლ ი კ ო. ჩემი და კი ბნელი ქალია, ერთ ყვავილს არ იყიდის. ყველა უკეთესისკენ ილტვის, ჩემთვის ეს გასაგებია. თქვენ ბედიერი ხართ, არა?

ს ა ლ ო მ ე. რატომ უნდა ვიყო უბედური? რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ.

პ ო ლ ი კ ო. და სწორედ ამიტომ მეცოდებით.

ს ა ლ ო მ ე. გეცოდებით?

პ ო ლ ი კ ო. ალბათ, ფიქრობთ, გიჟიაო, არა?

ს ა ლ ო მ ე. ჩემთვის მოულოდნელია...

პ ო ლ ი კ ო. განა ცხოვრება მოულოდნელობით არ არის სავსე? ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ. ახლა რასაც ჩემგან გაიგებთ, ესეც მოულოდნელი იქნება და თანაც მწარე. ისევე, როგორც ყოველგვარი სიმართლე. ხომ მეთანხმებით, რომ სიმართლე მწარეა?

ს ა ლ ო მ ე. როგორ გითხრათ...

პ ო ლ ი კ ო. არ იცით, არა? არ გეკამათებით. შეიძლება მე ვცდებოდე, შეიძლება ტყუილად ვღელავდე, ტყუილად ვერ ვბედავდე თქვენთან სიმართლის თქმას. ამბავი, რომლის მო-

Scanned with CamScanner

ყოლასაც მე ვაპირებ, შემაძრწუნებლად მეჩვენებოდა, ალბათ, ვცდებოდი. ადვილი შესაძლებელია, მე ხშირად ვცდები ხოლმე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიქნები, ახლაც რომ ვცდებოდე, თუ თქვენ ტკივილს არ მოგაყენებთ. მე მიყვარს ძლიერი ადამიანები, თუმცა, სამწუხაროდ, მე მათ რიცხვს არ ვეკუთვნი.

ს ა ლ ო მ ე. რა საჭიროა ასეთი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი? თუ რამის თქმა გინდათ, მითხარით, თუ არა და...

პ ო ლ ი კ ო. წავიდე, არა? რა თქმა უნდა... მაგრამ თუ თქვენ ძლიერი არა ხართ, მაშინ? მე სუსტი ნერვები მაქვს, ქალის ცრემლის დანახვაზე გული მიმდის.

ს ა ლ ო მ ე. ცრემლის?

პ ო ლ ი კ ო. თუმცა შეიძლება უცრემლოდაც გადავრჩეთ.

ს ა ლ ო მ ე. თქვით, გისმენთ.

პ ო ლ ი კ ო. მე თქვენ მომწონხართ.

ს ა ლ ო მ ე. სასიამოვნოა, მერე?

პ ო ლ ი კ ო. არა, არ შემიძლია.

ს ა ლ ო მ ე. იქნებ ხუმრობთ?

პ ო ლ ი კ ო. როგორ გეკადრებათ?

ს ა ლ ო მ ე. იცით რას გეტყვით, მოდი, ჯერ გადაწყვიტეთ მითხრათ თუ არა და ისე მობრძანდით.

პ ო ლ ი კ ო. მართალი ხართ, ნახვამდის.

ს ა ლ ო მ ე. დაიცადეთ. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სწორი მისამართით მოხვედით?

პ ო ლ ი კ ო. აი, ეს მომწონს. ჩემი ბრალია, მაპატიეთ. ჯერ უნდა გაგცნობოდით. მე მქვია პოლიკო, ილუზიონისტი გახლავართ, ესე იგი, ყოვლის შემძლე, აი ნახეთ! (ჯიბიდან იღებს პატარა ბურთს, ხელისგულზე იდებს, მუშტს შეჰკრავს, ისევ გაშლის, ბურთი გამქრალა.) თუმცა სიმართლე რომ გითხრათ, მხოლოდ ამ ბურთის გაქრობა შემიძლია. მთელი ჩემი სიძლიერე იმაშია, რომ თქვენი ნათესავი ვარ.

ს ა ლ ო მ ე. ნათესავი?

პ ო ლ ი კ ო. დიახ, ოღონდ ცოტა უცნაური ნათესაობა კი გვაქვს. აი მე თქვენ თითქმის ძმად გეკუთვნით.

ს ა ლ ო მ ე. როგორ?

პ ო ლ ი კ ო. ახლავე აგიხსნით, მაგრამ მანამდე მინდა გითხრათ, რომ მე ამით ვამაყობ, თუმცა ზოგს შეიძლება ეს უცნაურად მოეჩვენოს. მომისმინეთ: თქვენ მალე გაიოზის ცოლი გახდებით. არა, პასუხი არ არის საჭირო, მე კი გაიოზის ცოლის ძმა ვარ. მაშასადამე ჩვენ ვინ ვართ ერთმანეთის? ნათესავები, თანაც თუ დაუკვირდებით, ძალიან ახლობელი.

ს ა ლ ო მ ე. რა გნებავთ?

პ ო ლ ი კ ო. არა, გაიოზზე ცუდს კი არ ვამბობ, როგორ გეკადრებათ. პირიქით, აი, გიყურებთ და მესმის გაიოზის. ვინ არის ჩემი და? ერთი უბრალო, გაუნათლებელი, ჩვენში რომ იტყვიან, ბნელი ქალი, რომელმაც შვილებისა და ოჯახის მეტი არაფერი იცის. სიმართლე რომ გითხრათ, მე პირადად მირჩევნია თქვენისთანა და მყავდეს და, რადგან ახლა თქვენდამი ძმური სიყვარული აღმეძრა და ეს გრძნობა ძვირფასია ჩემთვის, ამიტომ შევყოყმანდი სწორედ, არ ვიცი რა დაგემართებათ, რომ გაიგოთ...

ს ა ლ ო მ ე. ნუ გეშინიათ, მითხარით, თუ საერთოდ რამე გაქვთ სათქმელი, მე გაიოზს კარგად ვიცნობ, ასე რომ, გაფრთხილებთ, შანტაჟისთვის მზადა ვარ.

პ ო ლ ი კ ო. მაშ რატომ არ მაგდებთ სახლიდან, როგორ ითმენთ ასეთ უმსგავსობას?

ს ა ლ ო მ ე. სხვათა შორის, სწორედ ამაზე ვფიქრობდი ახლა.

პ ო ლ ი კ ო. მეც ძალიან გამიკვირდებოდა, ეს რომ არ გეფიქრათ. განა ჩვენ შეგვიძლია სიმართლის მოსმენა? განა ყველას არ ეშინია სიმშვიდის დარღვევისა? თუნდაც ეს სიმშვიდე უსინდისოდ იყოს მოპოვებული. განა ყველას არ ეშინია, რამე არ მოხდეს, რამე არ შეიცვალოს და ვერც კი ვგრძნობთ, როგორ ვეჩვევით გრაფიკს, მატარებლებივით დავდივართ ერთსა და იმავე გზით, ერთსა და იმავე დროს, წუთი წუთზე, დაუგვიანებლად და მატარებლებივით ვყრუვდებით. ჩვენ თვითონ მოვქსოვეთ ჩვენთვის ბუდე, აკაშენეთ კედელი, ჩამოვკიდეთ დაბამბული კარი. გვესმის მხოლოდ ის, რაც ხელს გვაძლევს, ვხედავთ მხოლოდ იმას, რაც საკმარისია, რომ ვიარსებოთ.

ს ა ლ ო მ ე. მე თქვენ არ გისმენთ!

Scanned with CamScanner

პ ო ლ ი კ ო. კარგია, რომ არ მისმენთ. ახლა მივხვდი, რა შეცდომას დავუშვებდი, თქვენთვის რომ მომეყოლა ყველაფერი. თქვენ რას გერჩით? მე თვითონ მოვუვლი ამ ბოროტებას, ქვეყანა ჩალით კი არ არის დახურული. (მიდის, კართან შეჩერდება.) მე თქვენ მეცოდებით! აი, რა გინდათ თქვენ, შეხედეთ, აი! (ქუდიდან ამოყრის ქაღალდის ყვავილებს.) ილუზიები, არა მარტო თქვენ, ბევრს, ბევრს! მიდის.)

ს ა ლ ო მ ე (მარტო). ღმერთო, რა საშინელებაა!

რეკავს ზარი, გამორბის გურამი, აღებს კარს, კართან ნუციკო დგას, ბადრის მოწაფე, სალომე თავის ოთახში შედის.

ნ უ ც ი კ ო. პარდონ, ბატონი ბადრი შინ ბრძანდება?

გ უ რ ა მ ი. მორჩი, შემოდი!

ნ უ ც ი კ ო (შემოდის, აქეთ-იქით იხედება). მერსი. ბატონი ბადრი მინდოდა, დაბარებული ვარ.

გ უ რ ა მ ი. ნუ მატრაბაზობ.

ნ უ ც ი კ ო. თქვენ მისი ასისტენტი ხომ არა ხართ?

გ უ რ ა მ ი. დაჯექი!

ნ უ ც ი კ ო. თენქიუ. (ჩურჩულით.) შინ არ არის?

გ უ რ ა მ ი. არა.

ნ უ ც ი კ ო. რატომ?

გ უ რ ა მ ი. რა ვიცი.

ნ უ ც ი კ ო. საკვირველია, ის ისეთი წესიერია.

გ უ რ ა მ ი. შენი მასწავლებელი აბა რა იქნება.

ნ უ ც ი კ ო. მე ძალიან წესიერი გოგო ვარ, თუმცა უნაკლო არავინ არის.

გ უ რ ა მ ი. მორჩი-მეთქი.

ნ უ ც ი კ ო. ზოგჯერ მინდა საყელო გავუსწორო, ან თავზე ხელი გადავუსვა.

გ უ რ ა მ ი. შენი დასაცინია?

ნ უ ც ი კ ო. ბადრი ჩემი შვილიკოა.

გ უ რ ა მ ი. მარიკამ თუ გაგიგო!

ნ უ ც ი კ ო. მარიკაც ჩემი შვილიკოა. რატომ არიან დიდები ასეთი საცოდავები?

გ უ რ ა მ ი. ბადრი ცუდი ბიჭი არ არის.

ნ უ ც ი კ ო. რას ამბობ, მე ამოდენა საქმეს მიკეთებს, წარმოგიდგენია, უფასოდ მამეცადინებს, გავიყიდებოდი. მართლა, რატომ არიან დიდები ასეთი საცოდავები? შენ „წითელი და შავი“ წაგიკითხავს?

გ უ რ ა მ ი. ეგ ვიღასია?

ნ უ ც ი კ ო. ვაი, სირცხვილო! თუმცა არც ჩვენი ქიმიის მასწავლებელს ჰქონდა წაკითხული, მე ვათხოვე, გაკვეთილზე კითხულობდა და ტიროდა. გიტირია როდისმე?

გ უ რ ა მ ი. ეგლა მაკლია.

ნ უ ც ი კ ო. მე კი ვტირი ხოლმე. აი, არაფერი მიზეზი არა მაქვს, ვწევარ ჩემთვის და ვტირი. გოგოდ რომ გაჩენილიყავი, არ გინდა?

გ უ რ ა მ ი. აბა, აბა, გეყოფა არტისტობა.

ნ უ ც ი კ ო. მე კი მინდა ბიჭი ვიყო.

გ უ რ ა მ ი. არც ბევრი გაკლია, გარეგნობაც ხელს გიწყობს.

ნ უ ც ი კ ო. მაგიტომაც ვტირი სწორედ.

გ უ რ ა მ ი. მართლაც, ნუციკო, რატომ ხარ ასეთი უშნო, რაშია საქმე?

ნ უ ც ი კ ო. გინდა ზღაპარი მოგიყვე?

გ უ რ ა მ ი. შენი ზღაპრებით ტვინი მაქვს გახვრეტილი.

ნ უ ც ი კ ო. კარგი ერთი, რა საჭიროა ასეთი ტყუილი, შენ ხომ ტვინი არა გაქვს!

გ უ რ ა მ ი. რად მინდა ტვინი?

ნ უ ც ი კ ო. ერთი უშნო გოგო ჯართს აგროვებდა... იცი, მართლა დავწერე ზღაპარი.

გ უ რ ა მ ი. „ცისკარში“ მიიტანე, დაგიბეჭდავენ.

ნ უ ც ი კ ო. ის უშნო გოგო სულ ტიროდა და ჯართს აგროვებდა. ეკითხებოდნენ, რა გატირებს, შე სულელო, მაგრამ გოგომ არ იცოდა რა ატირებდა, მხოლოდ ჯართს აგროვებდა, ეგ იყო და ეგ. მიჰქონდა ჯართი სკოლის ეზოში, ჯართი იქ ეყარა, ხელს არავინ ჰკიდებდა. ეგ იყო და ეგ. გოგო ფანჯარასთან იჯდა, ჯართს უყურებდა და ტიროდა. ეგ იყო და ეგ.

გ უ რ ა მ ი. სულ ეგ არის?

ნ უ ც ი კ ო. ხო. მოგწონს?

გ უ რ ა მ ი. მაგარია. ბიჭი რომ იყო, რას იზამდი?

Scanned with CamScanner

ნ უ ც ი კ ო. კბილებს გაგისწორებდი, მეტი რა უნდა მექნა?
გ უ რ ა მ ი. ეგ მორევაზეა.
ნ უ ც ი კ ო. ვივარჯიშებდი და მოგერეოდი.
გ უ რ ა მ ი. დამცინი?
ნ უ ც ი კ ო. რა კარგია სკოლა რომ დავამთავრეთ, არა?
გ უ რ ა მ ი. დაამთავრე, თორემ შენც აკადემია დაამთავრე. ან ამ-
ლენ ხანს როგორ გაჩერებდნენ, არ გიკვირს?
ნ უ ც ი კ ო. წარმოგიდგენია, ყოველ დღე ექვსი გაკვეთილი არ
მექნება მოსამზადებელი, გავივლი, გამოვივლი, კინოში
წავალ. შემომხედე!
გ უ რ ა მ ი. აკი გიყურებ!
ნ უ ც ი კ ო. მერე, ვერაფერს ამჩნევ?
გ უ რ ა მ ი. როგორ არა, მაიმუნი მიღიმის.
ნ უ ც ი კ ო. სულ ვერაფერს? კარგად დამაკვირდი.
გ უ რ ა მ ი. აჰა, დაგაკვირდი.
ნ უ ც ი კ ო. კარგია, რომ არ მეტყობა, პერლამუტრის პომადაა.
გ უ რ ა მ ი. თუ არ გეტყობა, რაღაზე ისვამ? მეც არა ვთქვი, რა
სხვანაირად მახინჯია-მეთქი.
ნ უ ც ი კ ო. იცი კიდევ რა მინდა? რომ არავინ, არავინ არ მატყუ-
ებდეს.
გ უ რ ა მ ი. გამოცხადებული სულელი ხარ.
ნ უ ც ი კ ო. ალბათ.
გ უ რ ა მ ი. შტერო, ყველა ერთმანეთს ატყუებს.
ნ უ ც ი კ ო. მე არ მინდა.
გ უ რ ა მ ი. სულ შენს სურვილზეა.
ნ უ ც ი კ ო. შენც... შენც მომატყუებ?
გ უ რ ა მ ი. რა თქმა უნდა, შენი ჭირიმე, აქ სცენები არ გამიმართო-
ნ უ ც ი კ ო. მაგის მეტი დარდი არა მაქვს. იცი ვინ მომიყვანა აქ?
გითხრა?
გ უ რ ა მ ი. არ მინდა.
ნ უ ც ი კ ო. არ გინდა და ნუ გინდა. ბადრიმ რა დამიბარა?
გ უ რ ა მ ი. ხვალ მოვიდესო. მაგისგან მაინც არაფერი არ გამოვაო.
ნ უ ც ი კ ო. ნამდვილად ჩავიჭრები.
გ უ რ ა მ ი. მე მეორედ ვაბარებ, შენ რა წითელი კვერცხი ხარ.
ნ უ ც ი კ ო. დედას ეწყინება.

გ უ რ ა მ ი. შეეჩვევა. ვინ მოგიყვანა?
ნ უ ც ი კ ო. ხომ არ გაინტერესებს, რატომ მეკითხები?
გ უ რ ა მ ი. ნუციკო, ვერ ატყობ, შენი წასვლის დრო რომ მოვიდა,
აუცილებლად უნდა გაგაგდო?
ნ უ ც ი კ ო. აი, მესმის, ასე უნდა!
გ უ რ ა მ ი. წადი, შვილო, იმეცადინე, მე რას მიყურებ.
ნ უ ც ი კ ო. მართლაც, შენ რას გიყურებ, მამა პროფესორი გყავს,
რა გენაღვლება!
გ უ რ ა მ ი. აბა, აბა, არ გამოგიქანო!
ნ უ ც ი კ ო. თორემ არა! რა, არ გაგიგია? მე ის მიკვირს, შარშან
რომ ვერ მოხვდი.
გ უ რ ა მ ი. მე ჩემი ცოდნით მინდა მოვხვდე.
ნ უ ც ი კ ო. აბა, სამუდამოდ გარეთ დარჩენილხარ.
გ უ რ ა მ ი. თქვი, ვინ მოგიყვანა.
ნ უ ც ი კ ო. რა დროს ეგ არის, რა მნიშვნელობა აქვს... მანქანით
მომაბრძანეს.
გ უ რ ა მ ი. ვინ?
ნ უ ც ი კ ო. რა მეშველება, მითხარი, მართლა ჩავიჭრები?
გ უ რ ა მ ი. მერე რა, ნუ გეშინია, გითხოვს, ალბათ, ვინმე მაყუთა
ბიძა, ხალხში გამოხვალ, აშენდები... მე შენ გეტყვი, შვილე-
ბის ბაჩენით წელს მოიწყვეტ. ვისი მანქანით მოხვედი?
ნ უ ც ი კ ო. რომ გითხრა, გაგიჟდები.
გ უ რ ა მ ი. მაშინ ნუ მეტყვი... ცხელა გარეთ?
ნ უ ც ი კ ო. ძალიან ცხელა... ვინ მომიყვანა და...
გ უ რ ა მ ი. მოიცა, მოიცა, როგორც მოგიყვანა, ისევე წაგიყანოს,
მომბეზრდა შენთან ლაპარაკი.
ნ უ ც ი კ ო. გაიოზმა მომიყვანა!
გ უ რ ა მ ი. გაიოზმა?
ნ უ ც ი კ ო. სხვათა შორის, ჩემო გურიკო, იმ დღესაც იმან მომი-
ყვანა, თანაც...
გ უ რ ა მ ი. დაანებე მაგ სარკეს თავი, თორემ დაგიმტვრევ.
ნ უ ც ი კ ო. მაშ, შენ ამბობ, რომ პომადა არ მიხდება?
გ უ რ ა მ ი. თანაც, რა თანაც?
ნ უ ც ი კ ო. რას ვამბობდი? ხო, თანაც ქალაქგარეთ გასეირნება

Scanned with CamScanner

შემომთავაზა. არ მეცალა, თორემ უსათუოდ წავყვებოდი, ბადრი მიცდიდა.

გ უ რ ა მ ი. წაყოლოდი, რატომ არ წაყევი? შენ გგონია, გადავირევი?

ნ უ ც ი კ ო. შენ რატომ უნდა გადაირიო? საკვირველია ღმერთმანი! შენ რა შუაში ხარ? რა ნახა ნეტავ ამისთანა ჩემში, სად მე და სად სალომე. მართლა უყვარს შენი და?

გ უ რ ა მ ი. რა ვიცი, რა ჩემი საქმეა.

ნ უ ც ი კ ო. ისე, კარგი ბიძაა, სხვათა შორის, ძალიან სიმპათიური.

გ უ რ ა მ ი. შენ რა, გულში ხომ არ ჩაგივარდა?

ნ უ ც ი კ ო. შენ რა, ხომ არ ეჭვიანობ?

გ უ რ ა მ ი. ეგღა მაკლია. ისე, შენთვის ბებერია.

ნ უ ც ი კ ო. სრულებითაც არ არის ბებერი. თანაც, მაგის ხნის კაცები ახლა მოდაშია, მოდა კი დიდი რამ არის, სალომე რომ არ მეცოდებოდეს...

გ უ რ ა მ ი. სალომეც შენი შვილიკოა?

ნ უ ც ი კ ო. იცი, გურამ, მე მართლა ყველა მეცოდება. შენ ხომ არ გწყინს ასე რომ ვლაპარაკობ? შენთვის ხომ სულ ერთია?

გ უ რ ა მ ი (ყვირის). ხო, სულ ერთია, სულ ერთია, სულ ერთია. მომწყდი ახლა თავიდან, თორემ მოგკლავ იცოდე!

ნ უ ც ი კ ო. მივდივარ, გურიკო, მივდივარ, რა დაგემართა? რამე ხომ არ გაწყენინე? მივდივარ, იმეცადინე, ხელს არ შეგიშლი. (მიდის.)

გ უ რ ა მ ი (მარტო). სულ ერთია... (რეკავს ტელეფონი. გურამი იღებს ყურმილს.) დიახ, რაო? გურამი ვარ. ბატონო? ხოო. გამარჯობა... (შემოდის ნესტანი. გურამი ვერ ამჩნევს, განაგრძობს ლაპარაკს.) სადა? დღეს? კარგი... კარგი.. მოვალ. ნახვამდის... (დებს ყურმილს.)

ნ ე ს ტ ა ნ ი. ვინ იყო?

გ უ რ ა მ ი (ახლა ამჩნევს ნესტანს). რა? არავინ. განა შენთვის სულ ერთი არ არის? ხომ სულ ერთია?

ნ ე ს ტ ა ნ ი. გურამ, რა მოგივიდა? ვინ იყო-მეთქი.

გ უ რ ა მ ი (დედას მივარდება, ფეხებზე შემოეხვევა). დედიკო,

მიშველე, ჩემო დედა, მე ხომ შენი შვილიკო ვარ? ნუ შეაშმევინებ შენს შვილს ნიანგს.

ნ ე ს ტ ა ნ ი. კარგი ერთი, სულ მასხრობა გამიგონია, კლოუნი ხომ არა ხარ? გამიშვი ხელი, არ წამაქციო, გეყოფა.

გ უ რ ა მ ი (შეცვლილი ხმით, თითქოს უცბად გამოფხიზლდაო). კარგი, გავჩუმდები. მაგრამ ვნახოთ მერე რაღას იტყვი, ნიანგი რომ შემჭამს. (გადის ოთახიდან.)

ნ ე ს ტ ა ნ ი. წიგნი აიღე, წიგნი.

რეკავს ზარი. ნესტანი კარის გასაღებად გაემართება. გამოვარდება აბესალომი. დასწრებს კარის გაღებას.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მე მაცალე! (კარს აღებს. კართან გიორგი დგას.)

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ო, გიორგი, გიორგი, მობრძანდით!

გ ი ო რ გ ი. გმადლობთ, ჩემო აბესალომ. (შემოდის. აბესალომი პორტფელს ართმევს, ერთი-ორჯერ ხელში შეათამაშებს, მერე ნესტანს აწვდის.)

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გამომართვი, ქალო, პორტფელი.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რატომ დაგაგვიანდა?

გ ი ო რ გ ი. მიმღები კომისიის სხდომა იყო. ხომ იცი, გამოცდები კარზეა.

ნ ე ს ტ ა ნ ი. გააჭირეს საქმე, მე მეგონა, ამ ზაფხულს მაინც დავისვენებდით, ბორჯომში წავიდოდით, გადაღლილი ხარ, შენთვის დასვენება აუცილებელია.

გ ი ო რ გ ი. ახლა ბორჯომი მომინდომე, რომელ სასტუმროში აპირებ მაინც გაჩერებას?

ნ ე ს ტ ა ნ ი. რა ვუყოთ მერე, სასტუმრო არ იქნება, ოთახს ვიქირავებთ. თანაც გაიოზი დამპირდა, უსათუოდ გიშოვნიო.

გ ი ო რ გ ი. გამაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეს გაიოზი? რატომ უნდა მიშოვნოს სასტუმრო ვიღაც გაიოზმა?

ნ ე ს ტ ა ნ ი. რა მოხდა, პატივს გვცემს.

გ ი ო რ გ ი. კარგი, მაგრამ, სასტუმროს დირექტორი მე რატომ არ მცემს პატივს, ვინ არის-მეთქი ის გაიოზი ასეთი?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ვინ არის და, თქვენი სასიძოა, შესანიშნავი ადამიანი.

გ ი ო რ გ ი. შენ არ გეკითხები, აბესალომ!

Scanned with CamScanner

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დიდი ბოდიში, ბატონო!

ნ ე ს ტ ა ნ ი. კარგი, გიორგი, რა უბრალო რამეზე აიშლი ხოლმე ნერვებს, ხომ იცი, შენთვის აღელვება არ შეიძლება.

გ ი ო რ გ ი. ეს უბრალო რამეა?

ნ ე ს ტ ა ნ ი. დავიდარაბის მეტი არაფერია ეს გამოცდები. შენ შვილს ვერ მოხმარებიხარ...

გ ი ო რ გ ი. ნესტან!

ნ ე ს ტ ა ნ ი. კარგი, კარგი, აღარ ვიტყვი... კარებში რატომ ვდგავართ?

გ ი ო რ გ ი. სალომე მოვიდა?

ნ ე ს ტ ა ნ ი. მოვიდა.

გ ი ო რ გ ი. მარიკა?

ნ ე ს ტ ა ნ ი. მარიკაც. წამო, ვისადილოთ.

გ ი ო რ გ ი. ბადრი?

ნ ე ს ტ ა ნ ი. ბადრი შენთან ერთად არ იყო?

გ ი ო რ გ ი. რახანია წამოვიდა, უნდა დავუცადოთ.

ნ ე ს ტ ა ნ ი. დავსხდეთ და ისიც მოვა, დაგვიანება არ იცის.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თავმჯდომარე ხომ ხარ, გიორგი?

გ ი ო რ გ ი. ეხ, ჩემო აბესალომ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დიდი კაცი ხარ, ჩემო გიორგი, დიდი და ვამაყობ შენით, მაგრამ ერთი კი უნდა გკითხო, ტელევიზორში რატომ არ გამოდიხარ?

გ ი ო რ გ ი. რა ვიცი, ჩემო აბესალომ, რა აუცილებელია...

ნ ე ს ტ ა ნ ი. წამოდი, აბესალომ, ვისადილოთ.

ნესტანი და გიორგი გადიან.

ნ ე ს ტ ა ნ ი ს ხ მ ა. აბესალომ, აბესალომ! (გამოდის.) გაცივდა სადილი, აბესალომ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (სარკეში იყურება, ჰალსტუხს ისწორებს). საქმე მაქვს აგერ პატარა და შემოვალ ახლავე.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რა დროს საქმეა, აბესალომ, ვსადილობთ. როგორ გამოპრანჭულხარ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა გაგიკვირდა ასეთი, გალსტუკი მე, გენაცვალე, მაშინ მეკეთა, გალსტუკიზა ხალხს სამსახურიდან რომ

ხსნიდნენ და ნამეტანს კარგს შვრებოდნენ, რომ იცოდე. დამახრჩო ამ შეჩვენებულმა.

ნ ე ს ტ ა ნ ი. წამოდი ახლა, წამოდი.

სამზარეულოსაკენ მიდის.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ნესტან!

ნ ე ს ტ ა ნ ი. ბატონო?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არ შემოვა მითომ დღეს ის ქალი?

ნ ე ს ტ ა ნ ი. უი, შე შეჩვენებულო, მაგიტომ ითრევ ფეხს?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მოიცადე, ქალო, სათხოვარი მაქვს შენთან.

ნ ე ს ტ ა ნ ი. კი, ბატონო.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გიორგის ორდენები უნდა მათხოვო.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რაა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ერთი-ორი საათით.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რას ამბობ, აბესალომ, გიორგიმ არ გაიგოს, ეწყინება, ეგ რაღა სახუმაროა (გადის.)

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რავა ყველაფერი ხუმრობა გონია ამ ხალხს, გადავირიე კაცი! (შედის სამზარეულოში.)

სამზარეულო.

გ ი ო რ გ ი. გურამი სად არის?

ნ ე ს ტ ა ნ ი. გურამ! (გიორგის.) რა გინდა იმ ბიჭისაგან, სულ გურამს რომ გაიძახი.

გ ი ო რ გ ი. არ უნდა ისადილოს?

ნ ე ს ტ ა ნ ი. რას აკეთებს ასეთს?

გ ი ო რ გ ი. ვარჯიშობს ალბათ.

ნ ე ს ტ ა ნ ი. არა, მეცადინეობს. რომც ვარჯიშობდეს, რა მოხდა, კაცს ხომ არ კლავს, ხომ არ ქურდობს, მორფს ხომ არ იკეთებს. გურამი მე რომ მინდა, ისეთი იქნება...

გ ი ო რ გ ი. როგორი?

დ ა რ ო. შეჭამე რამე, კაცო.

გ ი ო რ გ ი. როგორი-მეთქი?

ნ ე ს ტ ა ნ ი. თამამი. დარო, შენს საქმეს მიხედე.

მ ა რ ი კ ა. „ვხოლოდ კაეშირი ესრეთ სულთა შობს სიყვარულსა“...

გ ი ო რ გ ი. ჯერ ჭამე, ეგ ლექსი მერე.

Scanned with CamScanner

მ ა რ ი კ ა. არ მინდა, „მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა“...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არ მინდას აჭამე.

ს ა ლ ო მ ე. მარიკა დღეს ტელევიზორში გამოდის.

ნ ე ს ტ ა ნ ი. ტელევიზორი, რადიო, ტელევიზორი, რადიო.

ს ა ლ ო მ ე. ასეა მსახიობის ცხოვრება.

მ ა რ ი კ ა. სალომე, რა შენი დასაცინია მსახიობის ცხოვრება?

ს ა ლ ო მ ე. მე არ დავცინი. შენც ისე გწყინს, ვითომ სარა ბერნარი იყო.

მ ა რ ი კ ა. მე რაღაცას მაინც ვაკეთებ. „მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს სიყვარულსა“.

ს ა ლ ო მ ე. ხო, რაღაც კაპიკების გულისათვის.

მ ა რ ი კ ა. სალომე, შენ რა დაგემართა? რას ჰქვია კაპიკების გულისათვის?

ნ ე ს ტ ა ნ ი (ეძახის). გურამ!

გ ი ო რ გ ი. აცალე, ალბათ, ახლა რგოლებზე გადავიდა.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რგოლები კი არა, წიგნს კითხულობს-მეთქი.

გ ი ო რ გ ი. არ დასცადოს ამდენმა კითხვამ.

დ ა რ ო. თეფშები მოიტათ, გამოვცვალო.

მ ა რ ი კ ა. მე მოგეხმარები.

გ ი ო რ გ ი. ბადრი სად არის ამდენ ხანს?

ნ ე ს ტ ა ნ ი. იმის მაგივრად რომ მიეხმარო, დასცინი.

გ ი ო რ გ ი. ნესტან, მე ერთხელ და სამუდამოდ აგიკრძალე მაგაზე ლაპარაკი.

ნ ე ს ტ ა ნ ი. ისე ვთქვი... სხვა მშობლებს რა, არ უყვართ შვილი?

გ ი ო რ გ ი. ნესტან!

დ ა რ ო. უნდა წაამწარონ კაცს სადილი.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რა ვთქვი ისეთი, ცოტა დაეხმარე-მეთქი. აღარ ვიტყვი.

დ ა რ ო. აცალე, ქალო, ჭამოს რაჰმე.

გ ი ო რ გ ი. არც თქვენი სადილი მინდა და არც არაფერი.

ნ ე ს ტ ა ნ ი. კარგი ახლა, გიორგი, მაპატიე, მოვეცი შენი თეფში.

რეკავს ზარი.

გ ი ო რ გ ი. გახედეთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მე გავაღებ, მაცალეთ. (წავა, კარს გააღებს.) ო, ქალბატონო ელისაბედ, მობრძანდით, მობრძანდით!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. არა, მე შემოსასვლელად არ მცალია.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ძალიან გთხოვთ, შემობრძანდეთ ერთი წუთით. რატომ არ შეიძლება, ერთი წუთით რომ შემოხვიდეთ, მობრძანდით, მობრძანდით.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ნესტანი სად არის?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მე ვარ, ბატონო, აგერ. მიმსახურეთ. თქვენი გულისთვის გაუჩენელს გავაჩენ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მენაგვისათვის ფულს ვაგროვებთ, მანეთი უნდა მომცეთ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სამი იყოს, ბატონო.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. როგორ გეკადრებათ? მანეთ-მანეთს ვაგროვებთ-

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ცოტაა, ბატონო.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. დაგვახრჩო ამ ნაგავმა, იქნებ ახლა მაინც გადაყარონ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაგან არ მომკლა?!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მე დამავალეს ფულის შეგროვება. ხომ იცით, მარტოხელა ქალი ვარ და... ადამიანს ვიღაცა უნდა ჰყავდეს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაგან არ მომკლა?!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მომცემთ მანეთს?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მეტი თუ გინდათ, არ მომერიდოთ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მეტი რად მინდა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ფული კი მაქვს, მარა... (ჯიბეებს იქექავს.) რკინის მანეთიანი შეიძლება?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. არა უშავს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ფული ჩემოდანში მაქვს.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. სიაში ჩაგწერთ, ბატონო სევერიან.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აბესალომ, ქალბატონო, აბესალომ!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უკაცრავად, ბატონო აბესალომ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შემობრძანებულიყავით, რა იქნებოდა, თქვენისთანა ჭკვიან ქალთან ლაპარაკი ერთი სიამოვნებაა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. რა იცით, რომ ჭკვიანი ვარ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თვალებზე გეტყობათ.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ოჰ, ბატონო სევერიან!

Scanned with CamScanner

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აბესალომ! აბესალომ! ბატონო!
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. უკაცრავად, ბატონო აბესალომ. მახსოვრობა კარგი მაქვს, რა დამემართა. გმადლობთ, ნახვამდის.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დაგეცადათ ცოტა.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. რაღას ვუცადო, სხვებთანაც მისასვლელი ვარ. მართლა, სალომეს დიდი მადლობა გადაეცით ჩემგან.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. უსათუოდ გადავცემ.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ნახვამდის.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ნახვამდის, ქალბატონო ელისაბედ!

ელისაბედი მიდის. აბესალომი კარს ხურავს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სანამ ამ ქალს ჩემს სახელს არ ვასწავლი, არაფერი გამოვა, ისე, ჯერჯერობით ძვირი მიჯდება არშიყობა, ნაგავი მაკლდა ახლა მე?

სამზარეულო.

გ ი ო რ გ ი. ბადრისთვის უნდა დაგვეცადა.
ნ ე ს ტ ა ნ ი. რას ვიფიქრებდი, ასე თუ დაიგვიანებდა.

შემოდის გურამი. წელზევით შიშველია.

გ უ რ ა მ ი. დეიდა დარო, ტკბილო, დატრიალდი, მშია!
გ ი ო რ გ ი. წადი, პერანგი ჩაიცვი და ისე მოდი!
გ უ რ ა მ ი. მცხელა!
გ ი ო რ გ ი. წადი-მეთქი! (გურამი გატრიალდება.)
ნ ე ს ტ ა ნ ი. რა მოგვივიდა, გიორგი?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (კარიდან). გიორგის ჯვარი სწერია, მაგათ რა მოუვიდათ, მაგათ, ქუჩაში კაცი ვერ გაივლის მაგათი შიშით.
ნ ე ს ტ ა ნ ი. გურამზე ამბობ მაგას?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არა, გურამზე არა (სუფრასთან ჯდება.) ოკუპანტებივით არიან, ბატონო, როდის მოგკლავენ არ იცი.
მ ა რ ი კ ა. მერე, ვისი ბრალია?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩემი ბრალი ხომ არ არის, ბატონო?
მ ა რ ი კ ა. არა, თქვენი არა, არც ჩემი, არც მამაჩემის, არც სალომესი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჰოდა, აგაშენა ღმერთმა. მართლა, სალომე, ქალბატონმა ელისაბედმა დიდი მადლობა შემოგითვალა.
ს ა ლ ო მ ე. დიდი რამე.
ნ ე ს ტ ა ნ ი. რისი მადლობა?
ს ა ლ ო მ ე. გაიოზს შავი მარმარილოს ლოდი სთხოვა და უშოვა ქმრის საფლავისათვის.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ბარემ ერთიც ეშოვნა ჩემთვის.
ს ა ლ ო მ ე. თქვენ რა შუაში ხართ, ბიძია აბესალომ?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ისე ვამბობ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. შენ მომიკვდი, აბესალომ!

გურამი ბრუნდება. პერანგი ჩაუცვამს.

მ ა რ ი კ ა. მაგრამ ვიღაცის, ან რაღაცის ბრალი ხომ არის?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მე მეკითხები?
მ ა რ ი კ ა. დიახ.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა?
მ ა რ ი კ ა. აი, რაზედაც ვლაპარაკობდით. მე მგონი ყველანი დამნაშავენი ვართ. ბავშვები ჩვენ თვალწინ იზრდებიან და მაგალითსაც ბევრ რამეში ჩვენგან იღებენ.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. წარმოუდგენელია!
მ ა რ ი კ ა. ის არ არის წარმოუდგენელი, რომ ლექტორს მატრიკულში ფულს უდებ და ისე გითვლის საგანს? ექთანი მორფს რომ ყიდის? მატარებლის ბილეთს წვალებით რომ შოულობ და ვაგონი ნახევრად ცარიელი გხვდება? საბავშვო ბაღში ბავშვს ნაცნობობით რომ იღებენ?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მერე სად არის მილიცია?
მ ა რ ი კ ა. ჩვენ სადა ვართ, ეს ქვეყანა განა ჩვენი არ არის?
ნ ე ს ტ ა ნ ი. მარიკა, რა დაგემართა, თეატრში ხომ არა ხარ?
მ ა რ ი კ ა. რა დაგიშავა, დედა, თეატრმა, სულ რომ ასე წამომძახებ ხოლმე?
დ ა რ ო. რა დაემართა ამ გოგოს?
გ ი ო რ გ ი. მარიკას მშვიდად ლაპარაკი არ შეუძლია.
მ ა რ ი კ ა. მამა, მითხარი, ვტყუი?
გ ი ო რ გ ი. მარიკა, რა თქმა უნდა, აჭარბებს, მაგრამ სიმართლეს ამბობს. საქმე ის არის, რომ ჩვენ ყველანი ჩვენი სინდისის

Scanned with CamScanner

წინაშე პატიოსნები უნდა ვიყოთ. რაღაცა უნდა გწამდეს, ხომ მართალია, მარიკა? როცა გწამს, არც ისე ძნელია ცხოვრება, არა?

გ უ რ ა მ ი. ერთი უშნო გოგო სულ ტიროდა და ჯართს აგროვებდა. ეკითხებოდნენ, რა გატირებს, შე სულელო, მაგრამ გოგომ არ იცოდა რა ატირებდა, მხოლოდ ჯართს აგროვებდა, ეგ იყო და ეგ. მიჰქონდა ჯართი სკოლის ეზოში, ჯართი იქ ეყარა, ხელს არავინ ჰკიდებდა. ეგ იყო და ეგ. გოგო ფანჯარასთან იჯდა, ჯართს უყურებდა და ტიროდა. ეგ იყო და ეგ.

რეკავს ზარი.

ს ა ლ ო მ ე. მე გავაღებ. (გაიქცევა, კარს გააღებს, შემოდის ბადრი.) სადა ხარ აქამდე? მამამ რამდენჯერმე გიკითხა; უშენოდ ვისადილეთ.

ბ ა დ რ ი (სკამზე ჩამოჯდება). ბოდიში... ბოდიში... ერთი მარიკას დაუძახე.

ს ა ლ ო მ ე. მოდი, ისადილე.

ბ ა დ რ ი. თუ შეიძლება... თუ შეიძლება მარიკას დაუძახე.

ს ა ლ ო მ ე. უი, მთვრალი ხარ?

ბ ა დ რ ი. თუ შეიძლება... მე მთვრალი არა ვარ... თუ შეიძლება...

ს ა ლ ო მ ე. ახლავე, ახლავე (სიცილით სამზარეულოში შედის.) მარიკა, შენი საკუთარი ქმარი გიხმობს.

მ ა რ ი კ ა. მოვიდა?

ს ა ლ ო მ ე. მთვრალია.

ნ ე ს ტ ა ნ ი. კარგი ერთი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დედას გაფიცებ!

გ ი ო რ გ ი. მერე რა მოხდა?

მ ა რ ი კ ა. ბადრი ხომ არ სვამს?

ს ა ლ ო მ ე. მიდი და ნახავ.

მარიკა ბადრისთან გადის.

მ ა რ ი კ ა. ბადრი, მთვრალი ხარ?

ბ ა დ რ ი. ვინ გითხრა?

მ ა რ ი კ ა. კი მაგრამ, შენ რომ ღვინოს არ სვამ?

ბ ა დ რ ი. და ძალიან ცუდს ვშვრები, აწი სისტემატურად უნდა დავლიო.

მ ა რ ი კ ა. ჩაიხედე სარკეში რას გავხარ.

ბ ა დ რ ი ალბათ, ლოკოკინას. დედაშენმა მითხრა, ცხოვრებას უნდა შეეგუოო, უნდა ავიკიდო ზურგზე ნიჟარა, ოღონდ უბრალო არა, სამოთახიანი, ლოჯიათი და საკუთარი სათავსოებით.

მ ა რ ი კ ა. ვისთან ერთად დალიე?

ბ ა დ რ ი. მაგრამ მე ლოკოკინა არა ვარ. მარიკა, მოდი ჩემთან...

მ ა რ ი კ ა. დამანებე თავი.

ბ ა დ რ ი. მე ვარ ეგვიპტელი მონა.

მ ა რ ი კ ა. რატომ მაინცდამაინც ეგვიპტელი?

ბ ა დ რ ი. ეს მე ვიცი. მოდი ჩემთან... მე დღეს ბედნიერი ვარ, მგონი, გვეშველა.

მ ა რ ი კ ა. გვეშველა?

ბ ა დ რ ი. სულ დამავიწყდა, რატომაც დაგიძახე... აი... (პორტფელიდან იღებს სამ ცალ მიხაკს.) აი, შენც მოგართვეს ყვავილები, მართალია, მთელ ბაღს ვერ მოგიტან, მაგრამ რაც შეეფერება ეგვიპტელ მონას...

მ ა რ ი კ ა. დიდი მადლობა!

ბ ა დ რ ი. ჩემი ცოლი არავიზე ნაკლები არ არის. იცი, მარიკა, ჩვენ მალე ჩვენი ბინა გვექნება. შენ ხომ გინდა ცალკე ცხოვრება? რა ბიჭი ყოფილა!

მ ა რ ი კ ა. ვინ?

ბ ა დ რ ი. ვინ და, გაიოზი!

მ ა რ ი კ ა. გაიოზთან რა გინდოდა, სად ნახე?

ბ ა დ რ ი. თვითონ მნახა. მე ხალხი პატივს მცემს, ისე კი არ არის, ზოგიერთს რომ ჰგონია. ქალაქგარეთ დუქანში დამპატიჟა. ხბოს მწვადი გიჭამია? ძალიან ეწყინა, მეორეჯერ არ თქვაო, ეგვიპტელი მონა კი არა, სასახელო კაცი ხარო. გაიოზი ჩემი მეგობარია, დღეიდან ჩვენ განუყრელი მეგობრები ვართ. მიხაკები ხომ მოგეცი?

მ ა რ ი კ ა. აი!

მ ა რ ი კ ა. კარგი, კარგი, დამშვიდდი.

ბ ა დ რ ი. მაკოცე, ახალი ბინა ხომ გინდა...

Scanned with CamScanner

გამოდის ნესტანი.

ნ ე ს ტ ა ნ ი. ოოო, ბადრის ვახლავარ!
ბ ა დ რ ი. მაპატიე, დედიკო, რომ დავიგვიანე. მარიკა, მაკოცე...
მ ა რ ი კ ა. წამო, ბადრი, წამო.
ბ ა დ რ ი. მე არავისი მეშინია.
მ ა რ ი კ ა. წამოდი-მეთქი.
ბ ა დ რ ი. ოქრო ყოფილა გაიოზი, დედიკო!
ნ ე ს ტ ა ნ ი. რაო, ბინას დამპირდაო?
მ ა რ ი კ ა. წამო, ბადრი.
ბ ა დ რ ი. მე ყველაფერი ვთქვი. აი ასე!

მარიკას ბადრი ეაჰყავს თავის ოთახში, საწოლზე ჩამოსვამს, ფეხსაცმელს ხდის.

ბ ა დ რ ი. აი ასე! არაფრისაც არ მეშინია.
მ ა რ ი კ ა. ხო, ბადრი, ხო.
ბ ა დ რ ი. პირში მთქმელი კაცი ვარ.
მ ა რ ი კ ა. ხო, ხო, დაწექი.
ბ ა დ რ ი. მიხაკები ხომ მოგიტანე?
მ ა რ ი კ ა. როგორ არა, როგორ არა.
ბ ა დ რ ი. აი ასე. რომ იცოდე, თითო მანეთი ღირს.
მ ა რ ი კ ა. დაწექი, დაისვენე. იცი, ბადრი, მე მომწონს, შენ რომ მთვრალი ხარ.

სასადილო ოთახი. გიორგი და ნესტანი.

გ ი ო რ გ ი. ბინას დაჰპირებია.
ნ ე ს ტ ა ნ ი. კიდევ არის ქვეყანაზე ასეთი ხალხი.
გ ი ო რ გ ი. როგორი?
ნ ე ს ტ ა ნ ი. კეთილი.
გ ი ო რ გ ი. გამოდის, რომ მე კეთილი არ ვყოფილვარ... შვილს ვერ ვეხმარები.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ახლაც თუ ვერ ჩაბარა, ჯარში წაიყვანენ.
გ ი ო რ გ ი. მაგას არ ვამბობ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. აბა?
გ ი ო რ გ ი. ახალგაზრდებმა ცალკე უნდა იცხოვრონ, მე ამას ვერ მივხვდი, თუმცა... რა უნდა მექნა? ასე ადვილია ბინის შოვნა? ის კი დაჰპირდა...

ნ ე ს ტ ა ნ ი. დაჰპირდა და გაკეთებს კიდეც.
გ ი ო რ გ ი. ალბათ... ალბათ... კი მაგრამ, ვინ არის ეს გაიოზი. ასეთი? გამაგებინეთ რა ხდება ჩემს ოჯახში? იქნებ აღარა ვარ ამ ოჯახის უფროსი?
ნ ე ს ტ ა ნ ი. რას ამბობ, გიორგი?
გ ი ო რ გ ი. არაფრის გაკეთება მე არ შემიძლია... ხომ გახსოვს ამას წინათ დაროს წამალი რომ ვერ ვუშოვე?
ნ ე ს ტ ა ნ ი. გაიოზმა ხომ გამოუგზავნა?
გ ი ო რ გ ი. გაიოზმა კი... გაიოზმა გამოუგზავნა... მაშინვე.
ნ ე ს ტ ა ნ ი. მერე რა, ერთი ვერ იშოვის, მეორე იშოვის, ასეა.
გ ი ო რ გ ი. ხო... ასეა... კი მაგრამ, რატომ ასე?
ნ ე ს ტ ა ნ ი. რა ვიცი, ცხოვრებაა ასეთი.
გ ი ო რ გ ი. არა! ჩვენა ვართ ასეთები. გაიგე რა თქვა მარიკამ?
ნ ე ს ტ ა ნ ი. მარიკა ცაში დაფრინავს, ბავშვია.
გ ი ო რ გ ი. მე ვინა ვარ?
ნ ე ს ტ ა ნ ი. შენ? გიორგი, რა უცნაურად ლაპარაკობ? წამოდი, დაისვენე ცოტა. დაანებე ამ გაიოზზე ფიქრს თავი, გათხოვდეს ეს გოგო, რა გინდა? მისი ტოლები ყველანი გათხოვდნენ, ასე ხომ არ დარჩება? ვიცი, რომ ვერ იშორებ, ძნელია, განა ჩემთვის ადვილია? მაგრამ რა ვქნა, ქალისთვის გათხოვება აუცილებელია, უნდა შეეჩვიო. შენ ყველას იწუნებ, შვილი არ გემეტება, გაიოზი კი, მე მგონი, დასაწუნი არ უნდა იყოს..
გ ი ო რ გ ი. ალბათ... ალბათ...
ნ ე ს ტ ა ნ ი. ბადრი როგორ დამთვრალა...
გ ი ო რ გ ი. რა ვუყოთ მერე?
ნ ე ს ტ ა ნ ი. შენ ხომ არ გეწყინა?
გ ი ო რ გ ი. რა? კაცი დალევს ღვინოს, რა მოხდა? მთვრალი კაცი თავის სახლში უნდა დაბრუნდეს, მაგას კი თავისი სახლი არა აქვს და ამიტომ გვეჩვენება უცნაურად.
ნ ე ს ტ ა ნ ი (ღიმილით). მაპატიე, დედიკოო, დედა დამიძახა.

შემოდის სალომე.

ს ა ლ ო მ ე. მამიკო, შენთან ერთი სათხოვარი მაქვს.
გ ი ო რ გ ი. ჩემთან? საოცარია, თურმე კიდევ საჭირო ვყოფილვარ.

Scanned with CamScanner

ს ა ლ ო მ ე. ოღონდ საიდუმლოა. დედიკო, არ გეწყინოს.
ნ ე ს ტ ა ნ ი. კი, ბატონო (გადის.)
ს ა ლ ო მ ე. ერთი რამე უნდა გთხოვო, ოღონდ, იცოდე, უარი არ მითხრა.
გ ი ო რ გ ი. განა როდესმე მითქვამს უარი? საინტერესოა, აბა, გისმენ!
ს ა ლ ო მ ე. არა, ჯერ დაიფიცე, რომ უარს არ მეტყვი.
გ ი ო რ გ ი. რომ ვერ შევასრულო? მე ხომ გაიოზი არა ვარ.
ს ა ლ ო მ ე. მამა?!
გ ი ო რ გ ი. ვხუმრობ, ვხუმრობ. თუ ძნელი არ არის, რა თქმა უნდა, შევასრულებ.
ს ა ლ ო მ ე. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.
გ ი ო რ გ ი. თქვი, გისმენ.
ს ა ლ ო მ ე. ერთი გოგო აბარებს შენთან...
გ ი ო რ გ ი. სალომე?!
ს ა ლ ო მ ე. ჯერ მომისმინე, ბოლომდე მომისმინე. განა ყველა ნიჭიერი ბავშვი ხვდება ინსტიტუტში?
გ ი ო რ გ ი. თუ საგანი იცის, ხვდება!
ს ა ლ ო მ ე. არა, მამა, ყველა არ ხვდება. შენ უნდა დაეხმარო... ცოტა.
გ ი ო რ გ ი. ეს იყო შენი სათხოვარი?
ს ა ლ ო მ ე. ხო, ეს იყო.
გ ი ო რ გ ი. ჩემთვის ეგ არ უნდა გეთქვა, შენგან არ ველოდი.
ს ა ლ ო მ ე. მომისმინე, დამამთავრებინე, შენ ხომ არ იცი...
გ ი ო რ გ ი. როგორ არ ვიცი. ნუთუ შენ ასეთი წარმოდგენა გაქვს ჩემზე?
ს ა ლ ო მ ე. მათქმევინე-მეთქი. ბევრს არაფერს გთხოვ. განა არ ვიცი, რომ გურამი მეორედ აბარებს, მაგრამ გურამი სხვაა.
გ ი ო რ გ ი. სალომე?
ს ა ლ ო მ ე. მაცალე, გთხოვ. მე მეგონა ყველა ვალდებულად ჩასთვლიდა თავს დახმარებოდა გაჭირვებულ ბავშვებს. ბავშვს, რომელმაც ფრიადებზე დაამთავრა სკოლა, რომელიც მერე წარმოებაში მუშაობდა და იმ წარმოებიდან მადლობით სავსე დახასიათება აქვს. მე მეგონა, რომ ამისთანა ბავშვს ყველა დაეხმარებოდა. მე ხომ სხვას არაფერს გთხოვ, გარ-

და იმისა, რომ გამოცდების ჩაბარების მერე, როცა შედეგები შეჯამდება, გაითვალისწინო ყველაფერი, განა ეს საწყენია?
გ ი ო რ გ ი. შენ ასეთი ლაპარაკი არ იცოდი?!
ს ა ლ ო მ ე. აი, აქ ყველაფერი წერია... (ქაღალდს უდებს წინ.) ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. უსათუოდ უნდა შევუსრულო, ეს პირველი თხოვნაა.
გ ი ო რ გ ი. საკვირველია, საკვირველია ღმერთმანი. ესე იგი, არის რაღაც, რისი გაკეთებაც გაიოზს არ შესძლებია...
ს ა ლ ო მ ე. არა, მამა, მე თვითონ, მე თვითონ დავპირდი. ის ისე განიცდიდა, რომ არ შევუსრულო, თავს მოვიკლავ.
გ ი ო რ გ ი. ხმა! ყველაფერი ჩემი ბრალია, თავზე რომ დაგისვი, გაგანებივრე.
ს ა ლ ო მ ე. მამა?
გ ი ო რ გ ი. თავს მოიკლავს... თავს მოიკლავს... გესმის, რას ამბობ?
ს ა ლ ო მ ე. ხო...
გ ი ო რ გ ი. არაფერიც არ გესმის. მოდი აქ, დაჯექი, შენ იცი, როგორ მიყვარხარ, იმედია, ხვდები ამას. შენ ჩემი სიცოცხლე ხარ, მე არ მრცხვენია ამ სიტყვების. მე თუ ვცოცხლობ, თქვენთვის ვცოცხლობ, მინდა, რომ გზაზე დაგაყენოთ, ბედნიერები იყოთ. ამ სამი წლის წინ რომ ვკვდებოდი, იცი, რამ გადამარჩინა? თქვენზე ფიქრმა, თქვენ რა გეშველებოდათ, თქვენ ხომ არაფერი შეგიძლიათ და ეს ჩემი ბრალია მარტო და ახლა გინდა რომ დამტოვო, წახვიდე ისე, რომ არც კი იცი სად მიდიხარ, ბრმასავით მიეხეტები...
ს ა ლ ო მ ე. მე ვიცი, სადაც მივდივარ.
გ ი ო რ გ ი. დამიჯერე, არ იცი.
ს ა ლ ო მ ე. ვიცი, მაგრამ შენ... შენ არ გინდა ჩემი გაშვება.
გ ი ო რ გ ი. მართალი ხარ, ასე გაშვება არ მინდა.
ს ა ლ ო მ ე. იმიტომ, რომ შენ... შენ...
გ ი ო რ გ ი. დიახ, მიყვარხარ!
ს ა ლ ო მ ე. ეს ეგოიზმია, გესმის, ეგოიზმი!
გ ი ო რ გ ი. შენ იცი, რა არის სიყვარული?
ს ა ლ ო მ ე. ვიცი.
გ ი ო რ გ ი. არა, შენ ბრმა ხარ.

Scanned with CamScanner

ს ა ლ ო მ ე. დე, ვიყო ბრმა, ყრუ, არაფერი ვიცოდე, ოღონდ ბედ-
ნიერი ვიყო.
გ ი ო რ გ ი. შენ არც ბედნიერება იცი რა არის.
ს ა ლ ო მ ე. მერე რა, ხომ ვიცი, რომ არსებობს, განა ეს უკვე ბედ-
ნიერება არ არის?
გ ი ო რ გ ი. ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ.
ს ა ლ ო მ ე. ჩემი ბრალია? (ტირის.)
გ ი ო რ გ ი. რა გატირებს, შე სულელო, რასაც ვამბობ, შენი გუ-
ლისთვის ვამბობ, მამა ვარ, უცხო ხომ არა. ნუ ტირი.

III

სასადილო ოთახი. სალომე და პოლიკო.

ს ა ლ ო მ ე. ამდენ ხანს ქუჩაში მიცდიდით?
პ ო ლ ი კ ო. დიახ.
ს ა ლ ო მ ე. კინოში ვიყავი. ერთი თვეა აღარ გამოჩენილხართ.
პ ო ლ ი კ ო. უკაცრავად, ასე გვიან რომ გაწუხებთ.
ს ა ლ ო მ ე. რა ქენით, დაამარცხეთ ბოროტება?
პ ო ლ ი კ ო (ღიმილით). დონ კიხოტი ვარ, დონ კიხოტი.
ს ა ლ ო მ ე. შანტაჟს ისევ დონ კიხოტობა სჯობია.
პ ო ლ ი კ ო. უმორჩილესად გთხოვთ, დაივიწყოთ, შეუძლებელი მო-
ვინდომე.
ს ა ლ ო მ ე. რატომ? ცილისწამება ადვილია, თუ კი იკადრებ.
პ ო ლ ი კ ო. მე რა უნდა გავაკეთო? ვინ ვარ მე? ერთი უნიჭო
მსახიობი, რა გამაჩნია?
ს ა ლ ო მ ე. ფული ხომ არ გინდათ?
პ ო ლ ი კ ო. მთლად მიწასთან მასწორებთ არა? მეტის ღირსი ვარ.
ნუთუ არ შეგიძლიათ, რომ მაპატიოთ?
ს ა ლ ო მ ე. კი მაგრამ, ბოროტებასთან ბრძოლა?
პ ო ლ ი კ ო. სასაცილოა, სასაცილო. ბევრ რამეს მიმახვედრა ცხოვ-
რებამ.
ს ა ლ ო მ ე. ახლა რისთვის მოხვედით?
პ ო ლ ი კ ო. ჩემი ბრძოლა წყლის ნაყვაა მხოლოდ, მარტო კაცი
ჭამაშიაც ცოდოა.
ს ა ლ ო მ ე. ისევ თავიდან იწყებთ?
პ ო ლ ი კ ო. მომისმინეთ! ბავშვები გასაზრდელია, ბევრი რამე
უნდათ, მუსიკას სწავლობენ, უცხო ენას. ჩემი და დამლა-

Scanned with CamScanner

გებლად თუ დადგება, თორემ მეტი არაფერი იცის. მე ხელ-
ფასი რა მაქვს? ჩემი თავი ვერ შემინახავს.

სალომე. მერე? იმათ რა დააშავეს? ბავშვებს ქუჩაში ხომ არ დავ-
ყრით? ან მათი დედა რატომ უნდა დაიტანჯოს?

პოლიკო. თქვენ თუ ეტყვით, გაიოზი უფრო გულისყურით მოე-
კიდება.

სალომე. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, თქვენ როგორ იფიქ-
რეთ? ბავშვებს უპატრონოდ ხომ არ დავტოვებთ? ამაზე
ერთი წუთით არ იფიქროთ.

პოლიკო. მაგ სიტყვებისთვის გმადლობთ.

სალომე. მადლობისთვის არ მითქვამს, განა ყველა ასე არ მო-
იქცეოდა?

პოლიკო. ჩემი არ იყოს, თქვენც ბავშვი ყოფილხართ, ოღონდ არ
გეწყინოთ.

სალომე. ბავშვებმა რა დააშავეს?

პოლიკო. არაფერი.

სალომე. ან მე რა დავაშავე? მითხარით.

პოლიკო. თქვენ? არაფერი...

სალომე. განა ასეთი რამ არ ხდება?

პოლიკო. როგორ არა... როგორ არა...

სალომე. მაშ რატომ გგონიათ, თითქოს რაღაც საშინელებას
ვაკეთებდე?

პოლიკო. ვინ გითხრათ? სრულიადაც არ მგონია.

სალომე. კარგით, კარგით, დავანებოთ ამაზე ლაპარაკს თავი.
დარწმუნებული იყავით, რომ ყველაფერი კარგად იქნება,
თუკი შეიძლება ამ ამბავს კარგი ვუწოდოთ...

პოლიკო. თქვენ ნუ წვალობთ ასე... არაფერია, გმადლობთ, რომ
დაიმედებულს მიშვებთ, ნახვამდის, ღმერთმა ქნას, თქვენ
მაინც იყოთ ბედნიერი. (მიდის.)

სალომე კარს კეტავს, დაბრუნდება, მაგიდასთან ჩამოჯდება. სამზარეულო-
ელისაბედი და აბესალომი ლოტოს თამაშობენ.

აბესალომი. ორმოცდასამი!

ელისაბედი. მაქვს.

აბესალომი. ოცდაჩვიდმეტი!

ელისაბედი. მაქვს.

აბესალომი. სამი!

ელისაბედი. მაქვს.

აბესალომი. მოდი, თქვი რა არ გაქვს და დავამთავროთ.

ელისაბედი. რატომ, აბესალომ, რატომ?

აბესალომი. იმიტომ, ელისაბედ, იმიტომ, ჩვიდმეტი!

ელისაბედი. მაქვს.

აბესალომი. მეცა მაქვს, მადლობა ღმერთს.

ელისაბედი. ლობიოს მარცვალი დაიდე.

აბესალომი. ოცდაშვიდი!

ელისაბედი. მაქვს.

აბესალომი. თოთხმეტი!

ელისაბედი. მაქვს.

აბესალომი. მეცა მაქვს.

ელისაბედი. ლობიოს მარცვალი დაიდე.

აბესალომი ამომივიდა ეს ლობიო ყელში. ვერს პიტნა არ
უყვარდაო, ხომ გაგიგონია.

ელისაბედი. რატომ ბრაზობ, აბესალომ?

აბესალომი. არ მინდა თქვენი ლობიო!

ელისაბედი. დავამთავროთ?

აბესალომი. რამდენი დაგრჩა?

ელისაბედი. ერთი, სამოცდაოთხი.

აბესალომი. ბარემ მაგასაც ამოვიღებ და ეგ იქნება (ხელს
ურევს პარკში, იღებს კოჭს.) სამოცდაოთხი! ფუ, დალახვროს
ღმერთმა.

ელისაბედი. დავამთავრე.

აბესალომი. მომილოცავს, მომილოცავს.

ელისაბედი. გმადლობთ, აბესალომ, გმადლობთ!

აბესალომი. არაფრის, ბატონო, არაფრის.

ელისაბედი. აბაზია შენზე.

აბესალომი. მერე გავსწორდებით. ნამეტანი კარგი თამაში კი
გცოდნია, მე და ჩემმა ღმერთმა, სად ისწავლე ასეთი კარ-
გი თამაში?

ელისაბედი. ეჰ, მეცა მქონდა ერთი დრო.

Scanned with CamScanner

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კი, ერთი დრო ყველას გვქონდა, მაგრამ კიდევ რომ გვინდა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. დავბერდით, აბესალომ, დავბერდით.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა დროს ჩვენი სიბერეა, ლიზა?

შემოდის სალომე, წყალს სვამს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არ გეძინება, ბიძიკო? ნამეტანი ცხელა. ლოტოს ხომ არ ითამაშებ?

ს ა ლ ო მ ე. ბიძია აბესალომ, შეიძლება ადამიანი ერთდროულად ბედნიერიც იყოს და უსინდისოც?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა ვიცი... მე მგონი.. შენ რას იტყვი ლიზა?

ს ა ლ ო მ ე. თვითონ ბედნიერება ხომ უსინდისობას გამორიცხავს? რატომ ხდება, რომ... აი, შენ ბედნიერი ხარ, ვიღაც კი შენს გვერდით..

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აბა, ყველა ბედნიერი ხომ არ იქნება, ბიძიკო?

სალომე გადის.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა დავმართა ამ გოგოს?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. სიყვარულმა იცის.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კარგი ბიჭია გაიოზი, კარგი. მართლა, მარმარილო რომ სთხოვე, ბინის გაფართოება გეთხოვა. შენი ქმარი გაიგებს, თუ დაგიფასებს?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ასე რომ მცოდნოდა... რა ვქნა, აბესალომ, საფლავს იმიტომ ვაკეთებ, ხანდახან მივალ და ჩამოვჯდები, ხალხს დავინახავ, მეც დამინახავენ. აბა, სხვა რაა ჩემი ცხოვრება?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ცოცხალ კაცზე უნდა იფიქრო, ცოცხალზე. მკვდარს კარგი მოგონება, ცოცხალს — პატივისცემა. კაცი სანამ ცოცხალია, იქამდე უნდა მოვლა, თორემ რომ მოკვდება, გინდა შავი მარმარილო დაადე გულზე და გინდა თვითმფრინავი. სხვათა შორის, ჩემო ლიზა, თვალი რომ გადაავლო ჩვენს სასაფლაოებს, ვიტრინა გეგონება. ყველა საფლავს ზედ თავის ფასი აწერია. ლამაზია ეს? არა, იმიტომ კი არ გეუბნები, ქმარს კი უნდა დაადო გულზე ლოდი, ბარა...

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ეჰ, ჩემი საცოდავი ქმარი მეტის ღირსი იყო. წვეთი რაა, არ დალევდა, რომ მოგეკლა არ დალევდა. ახლა, რატომ შემოვდივარ აქ ასე ხშირად, არ გაინტერესებს? პირდაპირ სახლში ჩემი და ცხოვრობს, ლოთი ქმარი ჰყავს, ისინი მე არ მელაპარაკებიან, აქედან ვუყურებ ხოლმე. გამწარებული აქვს ცხოვრება.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მართლა, წვეთს არ სვამდა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. წვეთს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აბა მაგას მოუკლავს.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. შენც ხომ არ დალევ, აბესალომ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დავლევ, მაგრამ ნორმაზე.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაინც რამდენია ნორმა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აჰ, არ დამიწყო ახლა, რევიზიის გულისთვის დავანებე სოფელში მუშაობას თავი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ისეთი წყნარი იყო, სადილად, რაც არ უნდა გამეკეთებინა, დაჯდებოდა და უჩუმარის პირით შეჭამდა. ზოგმა რომ იცის მიზეზიანობა, ისე კი არ იყო.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩემი მარიამი? რა დიასახლისი იყო! დედა, დედა! მარტო ტყემალს გააკეთებდა, ჩვენში ერთი ჰამლეტ ბარამიძეა, ბოთლით სვამდა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. დიდი ამბავი, ტყემალი მაღაზიაშიც კია.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ახლა აჯიკას არ იკითხავ?!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. აჯიკაცაა მაღაზიაში.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აბა, მე რომ მოვკვდები, დამაწყვე გულზე მაღაზიაში ნაყიდი ტყემალი და აჯიკა, იაფად გამოხვალ. არა, არ გავხსნი ამ პაპიროსს, მეორეს რომ მაჩუქებს, იმას მოვწევ. იცი შენ ვინ არის სტიუარდესა?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. როგორ არ ვიცი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ერთი, თვითმფრინავში უნდა ჩავსვა, გავიაროთ, ქვეყანა ვნახოთ, ოღონდ თვითმფრინავში ლამაზი გოგოებია და ეჭვიანობა არ დაიწყო.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ხო, შემოგაფრინდებიან ზედ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რატომაც არა! ვითომ რატომ არა-მეთქი, გეკითხები.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ეგ შენს თავს ჰკითხე.

Scanned with CamScanner

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მოვიხსნი აწი ამ გალსტუკს (იხსნის.) რამდენი
რამე არ მინახავს, მოსკოვი, კიევი, ტუაფსე...
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ტუაფსე ვითომ რა არის ასეთი?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თორემ ახლა გავვარდები ტუაფსეში! ისე ვამბობ,
სიტყვაზე.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. აბესალომ, შენ ცხოველები თუ გიყვარს?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კი, ვეფხვი.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. არა, შინაურ ცხოველებზე გეკითხები.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შინაური ცხოველი მე ვარ.
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. სერიოზულად გეკითხები.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაგალითად?
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მაგალითად, კატა.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კატა არ გამაგონო!
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. მე კი მიყვარს. თუ მართლა გიყვარვარ, კატებიც
უნდა შეიყვარო.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მარტო შენ რომ მიყვარდე, არ შეიძლება?
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. არა, მე სამი კატა მყავს.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჰოდა, მეოთხე მე გეყოლები (რეკავს ზარი.) ვი-
ნაა ამ შუალამისას?
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. აკი, ყველა შინ არისო?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გურამი არ არის, მაგრამ იმას გასაღები აქვს.
(რეკავს ზარი.) ვიღაც გადარეული იქნება... (მიდის კარის გა-
საღებად. აღებს, შემოვარდება ნუციკო.)
ნ უ ც ი კ ო. ბადრი! ბადრი! ბადრი შინ არის?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ხომ ვთქვი, რა დროს ბადრია, გოგო, ხალხს
სძინავს.
ნ უ ც ი კ ო. როგორ სძინავს, რატომ, გაღვიძეთ!
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა გაყვირებს, გოგო?

გამოდის მარიკა, ხალათს იკრავს.

ნ უ ც ი კ ო. მარიკა, ბადრი გაღვიძე, ჩქარა!
მ ა რ ი კ ა. რა მოხდა, ნუციკო, რაშია საქმე?
ნ უ ც ი კ ო. გურამი დაიჭირეს, მარიკა, გურამი!

გამოდის ბადრი.

ბ ა დ რ ი. რას ამბობ?
ნ უ ც ი კ ო. გურამი დაიჭირეს, ბადრი, მიშველე.
ბ ა დ რ ი. რაზე დაიჭერდნენ, საიდან მოგელანდა?
ნ უ ც ი კ ო. დაიჭირეს, ბადრი, დაიჭირეს!
მ ა რ ი კ ა. ნუციკო, დამშვიდდი, გაგვაგებინე, რა მოხდა?

გამოდიან ნესტანი და გიორგი.

ნ ე ს ტ ა ნ ი. ვაიმე, გურამ, გურამ! რა მოხდა?
ბ ა დ რ ი. არაფერი, ქალბატონო ნესტან, გაუგებრობაა.
ნ ე ს ტ ა ნ ი. რა მოხდა? მანქანა ხომ არ გადაუბრუნდა?
გ ი ო რ გ ი. მანქანაში რა უნდოდა?
ნ ე ს ტ ა ნ ი. მანქანა მე მივეცი, ვაიმე, შვილი დავღუპე, შვილი
დავღუპე!
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მანქანა კი არა, დაიჭირესო, ადამიანო!
ნ ე ს ტ ა ნ ი. გურამს ვინ დაიჭერდა?
ნ უ ც ი კ ო. დაიჭირეს, დაიჭირეს!
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შეცდომა იქნება.

გამოდის დარო.

დ ა რ ო. რატომ არ მოვკვდები, რა ამბავია?
ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. გურამი დაუჭერიათ.
ნ ე ს ტ ა ნ ი. ტყუილია, ტყუილი!
ნ უ ც ი კ ო. ჩემი ბრალია!
მ ა რ ი კ ა. გვითხარი, ნუციკო, რა მოხდა?

გამოდის სალომე.

ს ა ლ ო მ ე. რა მოხდა?
ნ ე ს ტ ა ნ ი. ჩემი ბრალია! შვილი დავღუპე!
ბ ა დ რ ი. გაუგებრობაა ნამდვილად, ქალბატონო ნესტან, ახლავე
ჩავიცვამ, წავალ და ყველაფერს გავარკვევ; ნუ გეშინიათ.
(ნუციკოს.) ცოტა მორიდება გქონდეს, რა გაღრიალებს.
ნ უ ც ი კ ო. გურამი დაიჭირეს.
ნ ე ს ტ ა ნ ი. კი მაგრამ, რატომ დაიჭირეს, რატომ?
მ ა რ ი კ ა. დედა!
ნ ე ს ტ ა ნ ი. მე დავღუპე! მე დავღუპე! ჩემი ბრალია! (რეკავს ტე-

Scanned with CamScanner

ლეფონი. უეცრად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. ყველა ტელეფონს შესცქერის. ტელეფონი რეკავს. ჩუმად.) გიორგი?

გიორგი იღებს ყურმილს, ყველა მის გარშემო გროვდება.

გ ი ო რ გ ი. გისმენთ? დიახ... დიახ... (კარგახანს უსმენს.) კარგით... მოვალ... მადლობელი ვარ (დებს ყურმილს.)

ნ ე ს ტ ა ნ ი. ვინ იყო, გიორგი?

გ ი ო რ გ ი. არავითარი გაუგებრობა...

ნ ე ს ტ ა ნ ი. დაიჭირეს?

გ ი ო რ გ ი. აეროდრომზე დაუჭერიათ.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რატომ?

გ ი ო რ გ ი. მაგას მე უნდა გეკითხებოდე.

ნ ე ს ტ ა ნ ი. არ იტყვი? (ელისაბედს მოხედავს, გიორგის.) მანქანა ხომ არ დააჯახა ვინმეს?

გ ი ო რ გ ი. არა.

ნ ე ს ტ ა ნ ი. წადი, რაღას უყურებ, წამოიყვანე.

გ ი ო რ გ ი. მორფი მოჰქონდა თურმე...

ნ ე ს ტ ა ნ ი. რა თქვი?

გ ი ო რ გ ი. მე წავალ...

ნ ე ს ტ ა ნ ი. მეც წამოვალ!

გ ი ო რ გ ი. არა... პიჯაკი გამომიტანე.

ნესტანს პიჯაკი გამოაქვს.

შეუძლებელია...

რეკავს ზარი.

ნ ე ს ტ ა ნ ი. მოვიდა!

კარის გასაღებად გაიქცევა. აღებს. შემოდის გაიოზი.

გ ა ი ო ზ ი. შეიძლება?

ს ა ლ ო მ ე. გაიოზ!?

ნ ე ს ტ ა ნ ი. მობრძანდით!

ს ა ლ ო მ ე. გაიოზ, იცი, რა მოხდა?

გ ა ი ო ზ ი. გამარჯობა, სალომე, გამარჯობათ, ბატონო გიორგი. მე სწორედ ამიტომ მოვედი. გაუგებრობაა, მეტი არაფერი.

მალე თქვენს შვილსაც იხილავთ, ჯანმრთელს და უვნებელს, ისევე, როგორც მე მიყურებთ.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რა მოხდა, გაიოზ? გამარჯობათ, მე დედა ვარ სალომესი.

გ ა ი ო ზ ი. დამშვიდდით, ქალბატონო ნესტან, დამშვიდდით, მოხდა ისე, რომ ჩემოდნები აირია...

დ ა რ ო. მეც არ გამიკვირდა?

გ ა ი ო ზ ი. აა, ბადრი, შენც შეგეშინდა?

ბ ა დ რ ი. არა... როგორ გითხრათ...

გ ა ი ო ზ ი. გაუგებრობაა, გაუგებრობა. თქვენ დეიდა დარო ბრძანდებით, ეს კი აბესალომია, ხომ მართალი ვარ?

ნ ე ს ტ ა ნ ი. ეს მარიკაა, ჩემი უფროსი ქალიშვილი.

გ ა ი ო ზ ი. სასიამოვნოა, შორიდან ყველას გიცნობთ!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დაბრძანდით, გაიოზ!

გ ა ი ო ზ ი. გმადლობთ! საჭუხაროდ, ასე უსიამოვნო ამბავზე მოგიწია პირველად მოსვლა, თანაც ასე გვიან, მაპატიეთ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გაიოზ, დაბრძანდით. ეს ქალბატონი ელისაბედია, ჩვენი მეგობარი.

გ ა ი ო ზ ი. ჩვენც ვიცნობთ მგონი ერთმანეთს შორიდან!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. დიახ!

გ ა ი ო ზ ი. მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ არ შეგშინებოდათ.

ს ა ლ ო მ ე. ვიფიქრე, დავურეკავ-მეთქი.

გ ა ი ო ზ ი. რა გამაჩერებდა!

ნ ე ს ტ ა ნ ი. ხომ გითხარი, გიორგი გაუგებრობაა-მეთქი. მე არ ვიცი, ჩემი შვილი ცუდს რომ არაფერს გააკეთებს? დაბრძანდით, გაიოზ, დაბრძანდით.

გ ა ი ო ზ ი. ძალიან გვიანაა.

ნ ე ს ტ ა ნ ი. პირველად ხართ ჩვენს ოჯახში.

გ ა ი ო ზ ი. სამწუხაროდ, ასე მოხდა...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ასე ჯობია!

გ ი ო რ გ ი (ნესტანს). გურამს აეროპორტში რა უნდოდა?

ნ ე ს ტ ა ნ ი. მაპატიე, გიორგი, რომ არ გითხარი, ამხანაგის დასახვედრად წავიდა. უარი ვერ ვუთხარი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დაბრძანდით, გაიოზ.

Scanned with CamScanner

გ ა ი ო ზ ი. ასე რომ, ბატონო გიორგი, უნდა მაპატიოთ ჩემი უდროოდ შემოჭრა.

გ ი ო რ გ ი. უკაცრავად, მე მილიციაში მივდივარ.

გაიოზი წინ გადაუდგება.

გ ა ი ო ზ ი. არ არის საჭირო, მე ყველაფერს გავაკეთებ.

ნ ე ს ტ ა ნ ი. დაუჯერე, გიორგი.

დ ა რ ო. გაიოზი გურამს ციხეში დატოვებს?

გ ა ი ო ზ ი. თქვენი მისვლით უფრო გამწვავდება საქმე. მე ხომ გიცნობთ...

გ ი ო რ გ ი. მე სიმართლე მაინტერესებს.

ნ ე ს ტ ა ნ ი ხომ გითხრა გაუგებრობა მოხდაო. თუმცა წაიდეს, გაიოზ, წამოიყვანოს.

გ ა ი ო ზ ი. არა, მე მომანდეთ ეს საქმე. თქვენისთანა კაცს მილიციაში რა უნდა? მე გურამი ძმასავით მიყვარს, ჰაერზე კი არ ვლაპარაკობ. ერთხელ უკვე დავამტკიცე. თქვენ რომ მიხვალთ, ისინი პრინციპულად დაიწყებენ ლაპარაკს და შეიძლება უფრო გამწვავდეს მდგომარეობა. მე კი უფრო გამოვნახავ საერთო ენას. ის კი არა, ვაშინაც რომ გახმაურებულიყო ის საქმე და თქვენ ჩარეულიყავით, გურამი ახლაც ციხეში უნდა მჯდარიყო.

გ ი ო რ გ ი. რომელი საქმე?

გ ა ი ო ზ ი. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ რადგან სიტყვამ მოიტანა, დამალვას აზრი აღარა აქვს, თანაც ყველანი ახლობლები ვართ, უცხო არავინაა... თუმცა გურამს კი ეწყინება, საიდუმლო რომ ვერ შევუნახე, მაგრამ ახლა ასე ჯობს. მე გურამს არავის დავაჩაგვრინებ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ოქროს სიტყვებია!

გ ი ო რ გ ი. რა მოხდა მაინც?

გ ა ი ო ზ ი. დიდი არაფერი, შემთხვევით მანქანა დააჯახა კაცს.

გ ი ო რ გ ი. მოკლა?

ნ ე ს ტ ა ნ ი. გიორგი?

გ ა ი ო ზ ი. არა, ხელი მოტეხა.

გ ი ო რ გ ი. მერე?

გ ა ი ო ზ ი. ბავშვია, შეეშინდა. მე კი ის კაცი გავაჩუმე.

გ ი ო რ გ ი. კი, მაგრამ...

გ ა ი ო ზ ი. ის კაცი არ მომკვდარა, მოკვდა კი არა, მადლობელიც დარჩა. ასეთი შემთხვევა ხშირად ხდება.

გ ი ო რ გ ი. მაინც ვერ გამიგია, თქვენ რა შუაში ხართ?

გ ა ი ო ზ ი. მე ვფიქრობ, ჩემს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა, თუ, რა თქმა უნდა...

გ ი ო რ გ ი. რა?

გ ა ი ო ზ ი. არ არის საჭირო.

გ ი ო რ გ ი. თქვით, რისი გერიდებათ?

ნ ე ს ტ ა ნ ი. კარგი, გიორგი, რა დაგემართა, კაცო!

გ ა ი ო ზ ი. არა უშავს, ქალბატონო ნესტან, ბატონი გიორგი აღელვებულია.

გ ი ო რ გ ი. მაინც რისი თქმა გინდოდათ?

გ ა ი ო ზ ი. არა, ნამდვილად არ ღირს.

გ ი ო რ გ ი (ნესტანს). შენ ეს ამბავი იცოდი?

ნ ე ს ტ ა ნ ი. დიდი რამე, ბავშვია, რა მოხდა...

გ ი ო რ გ ი. არაფერი არ მოხდა? (გაიოზს.) ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის ნება არ მომიცია გადაწყვიტოთ ჩემი ოჯახის საქმეები. არც თქვენი გადარჩენილი შვილი მინდა. ბოლოს და ბოლოს, ჯერ ხომ ცოცხალი ვარ!

ნ ე ს ტ ა ნ ი. ვაიმე, გიორგი!

მ ა რ ი კ ა. მამა!

გ ა ი ო ზ ი. მე თქვენთვის არც ისე უცხო ვარ, მე და სალომეს ხომ ერთმანეთი გვიყვარს?

გ ი ო რ გ ი. სიყვარული თქვენი საქმეა, სამწუხაროდ, ვერ ჩავერევი, მაგრამ არც თქვენ მოგცემთ ნებას ჩემს საქმეებში ჩაერიოთ. თუ დამჭირდა, მე თვითონ მოგმართავთ თხოვნით...

გ ა ი ო ზ ი. რატომ დამცინით?

ნ ე ს ტ ა ნ ი. გიორგი?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რას გადაეკიდე ამ კაცს?

გ ა ი ო ზ ი. ჩვენ უთხოვნელადაც ვეხმარებით ერთიმეორეს, ბატონო გიორგი.

გ ი ო რ გ ი. ჩვენ? ერთიმეორეს?

გ ა ი ო ზ ი. დიახ, ხელი ხელს ბანს, ორივე კი პირს. სხვათა შორის, თქვენი დიდი მადლობელი ვარ.

Scanned with CamScanner

გ ი ო რ გ ი. რისთვის?
ს ა ლ ო მ ე. მამა...
გ ი ო რ გ ი (უყვირის). გაჩუმდი!
ნ ე ს ტ ა ნ ი. გიორგი?
გ ი ო რ გ ი. მე არაფერი ვიცი... ისიც კი არ ვიცი, ვინა ხართ, რა გინდათ, რითი ცხოვრობთ...
გ ა ი ო ზ ი. რითი ვცხოვრობ? ვცხოვრობ ისევე, როგორც თქვენ.
გ ი ო რ გ ი. ძალიან გთხოვთ, მე ნუ მედრებით.
გ ა ი ო ზ ი. როგორ გეკადრებათ? ერთი წუთითაც არ მიფიქრია, მაგრამ ხომ შეიძლება მეც გკითხოთ, ვინა ხართ-მეთქი, თუმცა ეს უკითხავადაც კარგად ვიცი.
გ ი ო რ გ ი. მე მასწავლებელი ვარ.
გ ა ი ო ზ ი. არა, ბატონო გიორგი, თქვენ უფრო მეტი ხართ, ვიდრე მასწავლებელი.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მეც მაგ აზრისა ვარ სწორედ!
გ ა ი ო ზ ი. სად შეუძლია უბრალო მასწავლებელს ასეთი ბინა ჰქონდეს, მანქანა, ამოდენა ხალხი არჩინოს, მარტო ამ აქლემივით აბესალომს რამდენი უნდა...
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ვინაა, კაცო, აქლემი?
გ ა ი ო ზ ი. ვიხუმრე, აბესალომ, ისე ვთქვი, სიტყვისთვის.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აქლემი მაინც ნამეტანია, ბატონო.
დ ა რ ო. გეხუმრა, კაცო.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კაი ხუმრობაა, მე და ჩემმა ღმერთმა!
ნ ე ს ტ ა ნ ი. აბესალომ, გვაცალე!
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კი, ბატონო.
გ ა ი ო ზ ი. თქვენ დოქტორი ბრძანდებით, ბატონო გიორგი, პროფესორი, კათედრის გამგე. რატომაც არა? განა ასე არ ჯობს? ასე არ არის აბესალომ?
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ძალიან გაინტერესებს ვითომ აქლემის აზრი?
გ ა ი ო ზ ი. მაპატიე, თუ შეიძლება.
ნ ე ს ტ ა ნ ი. აბესალომ, რა მოხდა ასეთი?
გ ა ი ო ზ ი. მე მეტსაც გეტყვით, ბატონო გიორგი. აქ რომ შემოვედი, სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა. მეგონა, უფრო დიდი ბინა გექნებოდათ, ავეჯიც უკეთესი...

ნ ე ს ტ ა ნ ი. რაღა მაგ სკამზე დაბრძანდით, სულ ამას ვამბობ, გამოვცვალოთ-მეთქი.
გ ი ო რ გ ი. კი მაგრამ, რატომ გაგიკვირდათ?
გ ა ი ო ზ ი. იმიტომ, რომ თქვენ მეტის ღირსი ხართ!
გ ი ო რ გ ი. მე თავს დაჩაგრულად არ ვგრძნობ.
გ ა ი ო ზ ი. საკვირველია.
გ ი ო რ გ ი. რა არის საკვირველი?
გ ა ი ო ზ ი. აი, თქვენ სახელგანთქმული ადამიანი ხართ, რამდენი თაობა აღზარდეთ, ცოდნა მიეცით, გზაზე დააყენეთ...
გ ი ო რ გ ი. მერე, განა ამისთვის გასამრჯელოს თხოულობენ?
გ ა ი ო ზ ი. რამდენია, რომელსაც არაფერი გაუკეთებია და თქვენზე უკეთესად ცხოვრობს.
გ ი ო რ გ ი. ეგ ჩემი საქმე არ არის.
გ ა ი ო ზ ი. მე კი რატომღაც მგონია, რომ ეს სწორედ თქვენი საქმე იყო.
გ ი ო რ გ ი ჭკუას მარიგებთ?
გ ა ი ო ზ ი. რას ბრძანებთ! მე უბრალოდ მიკვირს. აი, თუნდაც ეს ამბავი ავიღოთ: განა თქვენ, ასეთ დამსახურებულ ადამიანს, არ უნდა გქონდეთ უფლება, რომ შვილი ინსტიტუტში მოაწყოთ? ის ხომ მეორედ დარჩა უკვე გარეთ.
გ ი ო რ გ ი. ეგ მაგიტომ არ მომხდარა.
გ ა ი ო ზ ი. მაშ რისი ბრალი იყო?
გ ი ო რ გ ი. არ იცით?
გ ა ი ო ზ ი. არა.
გ ი ო რ გ ი. მე ვერ აგიხსნით, მაგას ყველა თვითონ უნდა ხვდებოდეს.
გ ა ი ო ზ ი. ესე იგი, ეს პატიოსნების ბრალი იყო, არა?
გ ი ო რ გ ი. ბრალი? მე არ მსიამოვნებს ასეთი ლაპარაკი.
გ ა ი ო ზ ი. მე კი არ მესმის ისეთი პატიოსნება, რომელსაც ბოროტება მოსდევს.
გ ი ო რ გ ი. რა თქვით?
გ ა ი ო ზ ი. ბატონო გიორგი, გთხოვთ სწორად გამიგოთ. მე თქვენ ისეთ ადამიანად მიმაჩნიხართ, რომელსაც შეიძლება კაცმა სიმართლე უთხრას. დარწმუნებული ვარ, რომ არ ვცდები.

Scanned with CamScanner

თანაც, რაც არ უნდა თვალი დავხუჭოთ, მე მაინც თქვენი ახლობელი ვარ, თქვენი სიძე.

გ ი ო რ გ ი. ეგ კიდევ საკითხავია.

ს ა ლ ო მ ე. მამა?

გ ი ო რ გ ი. თქვენს ცოლ-შვილს რას ეუბნებით?

ს ა ლ ო მ ე. დედა, რა უნდა მამას? დედა, სირცხვილია!

გ ა ი ო ზ ი. არაფერია, ქალბატონო ნესტან. ბატონო გიორგი, რაც აქ შემოვედი, ჯერ სულ თქვენგან თავის დაცვა მიხდება, თითქოს ვიღაცამ გაგაბრაზათ, აგამხედრათ ჩემს წინააღმ-დეგ. მე მეგონა, თქვენ ისეთი ობიექტური იქნებოდით ამ საქმეში, როგორიც საერთოდ ბრძანდებით. მაინც გიპასუ-ხებთ: ჯერ ერთი, ეს ჩემი პირადი საქმეა. თქვენ გგონიათ, ჩემთვის ადვილი იყო მათი მიტოვება? მე ისინი ჩემი ხორ-ცივით მოვიგლიჯე გულიდან. თავის დროზე შეცდომა, მოხ-და, ადამიანი კი იმითაც განსხვავდება ნადირისაგან, რომ შეცდომის გამოსწორება შეუძლია.

ნ ე ს ტ ა ნ ი. გიორგი, რა მოგვივიდა, ცუდად ხომ არა ხარ?

გ ი ო რ გ ი. დამაცადე.

ნ ე ს ტ ა ნ ი. სულ ტყუილად იშლი ნერვებს. მარიკა, წყალი მოი-ტანე.

ს ა ლ ო მ ე. მამა, რა დაგემართა, მამა? ხომ ხედავ, არაფერიც არ მომხდარა.

ნ ე ს ტ ა ნ ი. გაიოზი პირველადაა ჩვენთან, ცოტა სხვანაირად დაე-ლაპარაკე (გაიოზს.) გურამის ამბავმა გონება აგვირია...

მ ა რ ი კ ა. აი, წყალი!

ნ ე ს ტ ა ნ ი. დალიე, გიორგი.

გ ი ო რ გ ი. არ მინდა.

გ ა ი ო ზ ი. ძალიან ვწუხვარ, ჩემი გულისთვის ასე რომ იშლით ნერვებს. დამერწმუნეთ, მე ამას არ ვიმსახურებ.

გ ი ო რ გ ი. მე ლამაზი ლაპარაკით ვერ გამაბრუებთ, ეგ სალომეს-თვის შეინახეთ. ბევრი რამ მითხრეს თქვენზე...

ს ა ლ ო მ ე. ტყუილია, მამა, ტყუილია, ყველა ტყუის. მეც რამდენ-ჯერ დამირეკეს, მოვიდნენ კიდეც ჩემთან...

გ ა ი ო ზ ი. მადლობთ, სალომე. ასე მგონია, სასამართლოში ვიყო გამოძახებული.

გ ი ო რ გ ი. მე თქვენთვის არ დამიძახია.

გ ა ი ო ზ ი (ღიმილით). ესე იგი, ჩემი ფეხით მოვედი ჩემი საქმის გარჩევაზე, არა?

გ ი ო რ გ ი. განა მე პროკურორს ვგავარ? სამწუხაროდ, არა... მაგ-რამ ჩემთვის ყველაფერი ნათელია...

ნ ე ს ტ ა ნ ი. გიორგი, დაუკვირდი, რას ამბობ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კარგით ახლა, შერიგდით, კაცო!

ნ ე ს ტ ა ნ ი. მარიკა, გამოიტანე ღვინო, ხილი...

გ ა ი ო ზ ი. დიდი მადლობა, ქალბატონო ნესტან, მეჩქარება.

ნ ე ს ტ ა ნ ი. უკაცრავად, გაიოზ, ხომ იცით, გურამის ამბავზე ელდა გვეცა, გიორგიც აღელდა...

გ ა ი ო ზ ი. ძალიან ვწუხვარ... თუ რამე გაწყენინეთ, ჩემდა უნებუ-რად მოხდა.

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ისე ვდგავარ, თითქოს სახლი არ მქონდეს.

ნ ე ს ტ ა ნ ი. კარგი, ელისაბედ, უცხო ხომ არა ხარ, რა გეჩქარება?

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. ისე გამეხარდა ბატონი გაიოზის გაცნობა, იმდე-ნი სიკეთე გაუკეთებია ჩემთვის.

გ ა ი ო ზ ი. რას ბრძანებთ, დიდი ამბავი.

გ ი ო რ გ ი. ყველას ეხმარებით... საკვირველია...

გ ა ი ო ზ ი. განა ეს სამარცხვინოა? განა თქვენ ასე არ იქცევით?

გ ი ო რ გ ი. არა.

გ ა ი ო ზ ი. თუმცა თქვენ შვილსაც კი არ დაეხმარეთ. არა, მე თქვენ არ გამტყუნებთ, პირიქით, მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ დიდსა და პრინციპულ ადამიანს შეუძლია, მე კი უბრალო კაცი ვარ და ამიტომ მივეხმარე გურამს, შემეცოდა, თქვენ მას დაუფიქრებლად გაუშვებდით ციხეში.

გ ი ო რ გ ი. დაუფიქრებლად. თუ დასასჯელია — დაისაჯოს!

გ ა ი ო ზ ი. აი, ხომ ხედავთ?

გ ი ო რ გ ი. რას ვხედავ?

გ ა ი ო ზ ი. ნუთუ მართლა ვერ ხვდებით... საკვირველია.

გ ი ო რ გ ი. ყმაწვილო, ნუ გავიწყდებათ ვისთან ლაპარაკობთ!

გ ა ი ო ზ ი. რას ბრძანებთ, მე ეს ერთი წამითაც კი არ მავიწყდება. ბატონო გიორგი, რომ იცოდეთ, როგორ არ მინდა ერთი ნამ-ცეცი წყენაც რომ მოგაყენოთ.

Scanned with CamScanner

გ ი ო რ გ ი (ნესტანს). მე მაინც ვერ გამიგია, რა უნდოდა გურამს აეროპორტში, საიდან გაჩნდა მის ხელში მორფი?

გ ა ი ო ზ ი. ხომ გითხარით, ყველაფერი გაუგებრობის ბრალია-მეთქი. ჩემოდნები აირია, ხვალ დილით გურამი შინ იქნება.

გ ი ო რ გ ი. საიდან იცით ყველაფერი ასე დაწვრილებით, ასე უცებ აქ როგორ გაჩნდით, ან რატომ ხართ თქვენ ამ საქმით ასე დაინტერესებული?

ს ა ლ ო მ ე. მამა, ისევ თავიდან იწყებ?

გ ა ი ო ზ ი. როგორი უნდობლობაა, როგორი უნდობლობა! ნუთუ პატიოსნება უნდობლობას ნიშნავს?

გ ი ო რ გ ი. მე გითხარით ამაზე ნუ ვილაპარაკებთ-მეთქი.

გ ა ი ო ზ ი. რატომ, მე არა მაქვს უფლება პატიოსნებაზე ვილაპარაკო?

გ ი ო რ გ ი. პატიოსნება წმინდა ცნებაა!

გ ა ი ო ზ ი. მე კი უწმინდური ვარ არა? განა პატიოსნება ადამიანს ცხოვრებაში უნდა უშლიდეს ხელს?

გ ი ო რ გ ი. არ მესმის?

გ ა ი ო ზ ი. განა პატიოსნება კარია, რომელშიც მხოლოდ ზოგიერთებს შეუძლია შესვლა, რომ გამოიკეტოს დახეთულ ოთახში, სადაც მხოლოდ კანონია და მეტი არაფერი?

გ ი ო რ გ ი. თქვენ მეტად მალალფარდოვნად ლაპარაკობთ.

გ ა ი ო ზ ი. მე თვითონ მიკვირს. მაპატიეთ, ეტყობა, თავი შევაწყინეთ.

ნ ე ს ტ ა ნ ი. რას ბრძანებთ, გაიოზ, პირიქით!

ე ლ ი ს ა ბ ე დ ი. რა კარგად ლაპარაკობს!

გ ი ო რ გ ი. ისე გამოდის, თითქოს მე ვამბობდე პატიოსნება ადამიანს ცხოვრებაში ხელს უშლისო...

გ ა ი ო ზ ი. ბატონო გიორგი, მე შეიძლება ისე ვერ ვთქვი, როგორც საჭიროა.

გ ი ო რ გ ი. აი, თქვენ როგორი ყოფილხართ!

გ ა ი ო ზ ი. მე ერთი უბრალო კაცი ვარ.

ს ა ლ ო მ ე. კარგი, მამა, კარგი.

ნ ე ს ტ ა ნ ი. გაიოზ, ხილი მიირთვით.

გ ა ი ო ზ ი. გმადლობთ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. აი, მჭრელი დანა!

გ ი ო რ გ ი. ესე იგი, თქვენ ჩემსა და ჩემისთანების ცხოვრებას ეჭვით უცქერით არა?

ნ ე ს ტ ა ნ ი. გიორგი!

გ ი ო რ გ ი. მაცალეთ! თქვენ იცით რა თქვით?

გ ა ი ო ზ ი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არ მინდა თქვენ გაწყენინოთ.

გ ი ო რ გ ი. თქვენი პატიოსნება რომელიღაა, ის რომელმაც ასე დაწვრილებით იცის მორფით სავსე ჩემოდნების ამბავი? რა თქმა უნდა, ჩემი პატიოსნება თქვენ ხელს არ გაძლევთ.

გ ა ი ო ზ ი. განა სხვადასხვანაირი პატიოსნება არსებობს?

გ ი ო რ გ ი. დიახ, ჩვენ არ შეიძლება. ერთნაირად პატიოსნები ვიყოთ!

ს ა ლ ო მ ე. მამა!

გ ა ი ო ზ ი. ამაშიც თუ განსხვავება იყო, არ ვიცოდი. გინდათ, რომ მაინცდამაინც შეურაცხყოფა მომაყენოთ. მართალი ყოფილა თქვენი სიძე, რასაც თქვენზე ამბობდა, მე კი არ ვუჯერებდი. ბადრი, მაპატიე, იძულებული ვარ თავი დავიცვა. თანაც აქ ყველანი შინაურები ვართ.

გ ი ო რ გ ი. არა, ყველა არა ვართ შინაური.

მ ა რ ი კ ა. ბადრი?

ბ ა დ რ ი. მე ვთქვი, რომ... დიახ...

გ ა ი ო ზ ი. მაპატიე, ბადრი, ასეთ მდგომარეობაში რომ გაყენებ.

ბ ა დ რ ი. ვიტყვი... ვიტყვი... მე ვთქვი, რომ ეგვიპტელი მონა ვარ-მეთქი.

გ ი ო რ გ ი. არ არის საჭირო, არ მაინტერესებს.

გ ა ი ო ზ ი. დაიცადეთ, ჯერ სადა ხართ!

ბ ა დ რ ი. ბატონი გიორგი ფარაონია-მეთქი...

დ ა რ ო. უიმე!

ნ ე ს ტ ა ნ ი. ღმერთო მომკალი!

გ ი ო რ გ ი. ფარაონი? ფარაონი რატომ?

ბ ა დ რ ი. იმიტომ რომ... იმიტომ რომ...

მ ა რ ი კ ა. თქვი ბარემ!

ბ ა დ რ ი. წიგნი. რომელსაც კათედრაზე ყველანი ვწერთ, პირამიდა არის-მეთქი და მარტო პატივცემული გიორგი ჩაწვება შიგ-მეთქი...

Scanned with CamScanner

გ ა ი ო ზ ი. ესე იგი ჩვენს შრომას მიითვისებსო არა? (გიორგის.) ეს იცოდით?

გ ი ო რ გ ი. არა, ეს არ ვიცოდი.

გ ა ი ო ზ ი. ეს ვისი პატიოსნებაა, თქვენი თუ ჩემი? არა, მე არ მჯერა, რომ ეს თქვენი პატიოსნება იყოს.

მ ა რ ი კ ა. ბადრი მთვრალი იყო, არა ბადრი?

ბ ა დ რ ი. არა, მე მართლა ასე ვფიქრობდი.

გ ა ი ო ზ ი. აი, ხომ ხედავთ!

გ ი ო რ გ ი. კი მაგრამ...

მ ა რ ი კ ა. ბადრი?

ბ ა დ რ ი. და დღეს საშინლად ვნანობ, ჩემი სიბრიყვისა და პატივმოყვარეობის ბრალი იყო ყველაფერი. თქვენ კი, გაიოზ, უსინდისო ყოფილხართ.

გ ა ი ო ზ ი. ესეც მე დამბრალდა! ჩემო ბადრი, მე ზურგს უკან ლაპარაკი არ მჩვევია და. სხვათა შორის, შენ თვითონ რომ არ გეთქვა, ჩემგან ამ ამბავს ვერავინ გაიგებდა.

გ ი ო რ გ ი. ეგ არაფერი, ბადრის ხნისა რომ ვიყავი, მეც ასე მეგონა, თქვენ კი რა გინდათ ამით დაამტკიცოთ?

გ ა ი ო ზ ი. არაფერი.

გ ი ო რ გ ი. მაშინ მე თქვენთან ლაპარაკი დავამთავრე. იცით რას გეტყვით, გურამს მე თვითონ მოვუვლი.

გ ა ი ო ზ ი. სახლიდან მაგდებთ?

გ ი ო რ გ ი. როგორც გინდათ ისე ჩათვალეთ!

ს ა ლ ო მ ე. მამა!

ნ ე ს ტ ა ნ ი. გიორგი?

გ ა ი ო ზ ი. რადგან სახლიდან მაგდებთ, მაშინ ერთი წუთით კიდევ მომისმინეთ. მე სრულებით არ მწყინს, რადგან ვხედავ, რომ ცდებით და ცდებით ისე მწარედ, რომ მეცოდებით...

ს ა ლ ო მ ე. გაიოზ, რას ამბობ?

გ ა ი ო ზ ი. რადგან ჩვენ ფილოსოფიური კამათი გავმართეთ, დამამთავრებინეთ კიდეც. მე მგონი, აკრძალული ხერხია, როცა მოკამათეს სახლიდან აძევებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ის მართალია. დავიწყოთ იმით, რომ თქვენ ჩემი პროკურორი ნამდვილად არა ხართ...

ს ა ლ ო მ ე. გაიოზ, რა ტონით ელაპარაკები მამას?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გავგიჟდი, კაცო! (ხსნის „სტიუარდესას“, სიგარეტს უკიდებს.)

გ ა ი ო ზ ი. ბატონო გიორგი, აბა, ერთი წუთით დაფიქრდით, თქვენ მადანაშაულებთ მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ მე ვიღაცას ვეხმარები. თქვენ მას უპატიოსნო საქციელად მითვლით. მე კი გპასუხობთ, განა თქვენ გაქვთ მორალური უფლება, ჩემი პროკურორი იყოთ?

ს ა ლ ო მ ე. როგორ უბედავ?

ბ ა დ რ ი. თქვენ ხომ გითხრეს, წადითო!

ს ა ლ ო მ ე. ბადრი, ეს შენი საქმე არ არის.

გ ი ო რ გ ი. აცალეთ!

მ ა რ ი კ ა. რა ვაცალოთ, მამა, რა? სალომე, ვინ ყოფილა ეს?

გ ა ი ო ზ ი. ბატონო გიორგი, თუ გნებავთ გავჩუმდები.

გ ი ო რ გ ი. თქვით!

გ ა ი ო ზ ი. გმადლობთ, ბატონო გიორგი. ადამიანი რკინისა არ არის. მას სტკივა, წვალობს, ეშინია, ღალატობენ, თვითონაც ღალატობს ვიღაცას, უყვარს, ბედნიერია, ეჭვიანობს და სანამ მას სტკივა, უხარია ან წვალობს, ის უფრო კარგი წევრია საზოგადოების, ვიდრე ის, ვინც ამას უგულებელყოფს.

გ ი ო რ გ ი. ოჰო?

გ ა ი ო ზ ი. გიკვირთ?

გ ი ო რ გ ი. თქვენგან მიკვირს.

გ ა ი ო ზ ი. მე კი ის მიკვირს, რომ თქვენ ამას ვერ გრძნობთ.

გ ი ო რ გ ი. უმაწვილო!

გ ა ი ო ზ ი. განა ჩემდამი თქვენი უნდობლობა მხოლოდ იმით არ არის გამოწვეული, რომ მე, ცოლშვილიანმა კაცმა, ოჯახი მივატოვე და სალომე შევიყვარე? განა თქვენ ეს საშინელ ცოდვად არ მიგაჩნიათ, როდესაც ეს ჩემთვის ტანჯვაა და, ამავე დროს, ბედნიერებაც, განა სალომე ბედნიერი არ არის?

გ ი ო რ გ ი. არა, მხოლოდ მაგით არ არის გამოწვეული.

გ ა ი ო ზ ი. მაშ, რითი ავხსნა?

გ ი ო რ გ ი. თქვენ ეს ჩემზე უკეთესად იცით!

გ ა ი ო ზ ი. მადლობელი ვარ, რომ მისმენთ. მე ასეც ვიცოდი, რომ თქვენ სიმართლეს ზურგს არ შეაქცევდით. აი, თქვენ შვილს

Scanned with CamScanner

არ დაეხმარეთ და გარეთ დარჩა. როგორ დავიჯერო, თქვენ გგონიათ, რომ თქვენი შვილის ადგილი პატიოსანმა სტუ-
დენტმა დაიჭირა. ბატონო პროფესორო, განა თქვენ
არ მიიღეთ ნაცნობობით ვიღაცა გოგო, განა თქვენ ცუდი
გააკეთეთ? განა თქვენ ადამიანურად არ მოიქეცით? მერე რა
ვუყოთ, რომ იმ გოგოს ყველა საბუთი ყალბი ჰქონდა! გა-
იხსენეთ ვისზე გეუბნებით, აი სალომემ რომ გთხოვათ...

სალომე. გაიოზ, გესმის რას ამბობ?

გაიოზი (გიორგის). არ იცოდით?

გიორგი. ყველა საბუთი ყალბი ჰქონდა? არ ვიცოდი, მაგრამ
ამ საქმეს კიდევ ეშველება.

გაიოზი. არა, ბატონო პროფესორო, იმ გოგოს ხელს ვერავინ
ახლებს. თუ თქვენ ამ საქმის გამოჩხრეკას დაიწყებთ, სასა-
ცილო გახდებით. მე კი არ მინდა, რომ ჩემი მომავალი სი-
მამრი სასაცილო იყოს. მთელი ჯაჭვია ერთმანეთზე გადაბ-
მული: ვინც ის ყალბი საბუთები მისცა, ვინც გამოცდები
ჩაიბარა, ისინი რას იტყვიან? ასე ადვილად დაგეთანხმე-
ბიან? თანაც დიდი არაფერი მომხდარა, არაჩვეულებრივი,
ასეთი რამ ხშირია, ყველა ერთმანეთს ეხმარება, მათ შორის
თქვენც. მე არსად ვიტყვი, ნუ გეშინიათ.

გიორგი. მე რისი უნდა მეშინოდეს?

გაიოზი. ასე რომ, ნუ გეშინიათ... ახლა, როცა ყველაფერი გა-
ვარკვიეთ...

გიორგი. მაინც რა გავარკვიეთ?

გაიოზი. ყველაფერი.

გიორგი. ის გავარკვიეთ, რომ მე უგულო, სინდისგარეცხილი
ბოროტმოქმედი ვყოფილვარ?

გაიოზი. როგორ გეკადრებათ?

ნესტანი. გიორგი, დამშვიდდი.

გიორგი. საქმე, რომელსაც მთელი სიცოცხლე შევწირე, ყალთა-
ბანდობა ყოფილა?

ნესტანი. გიორგი! გიორგი! (გაიოზს.) ბოლოს და ბოლოს რა
გინდათ ჩვენგან, რა?

გაიოზი. მხოლოდ და მხოლოდ თქვენი კარგად ყოფნა.

ბადრი. როგორ ლაპარაკობ, მართლა ეს ქვეყანა შენი ხომ არ
ვგონია?

გიორგი. წადით აქედან!

გაიოზი. წავიდე... გავეთრიო... ძაღლივით...

ნესტანი. წადით და სხვა დროს მოდით როგორმე.

გაიოზი. მე განა რამე ისეთი ვთქვი? მე არ მინდა ზოგიერთ
უსინდისოს იმ ნაცნობობით მოწყობილმა გოგომ რწყილი და
ჭიანჭველას ამბავი გაახსენოს. ხომ გახსოვთ: რწყილი ახტა,
დახტა და მივიდა მუხასთან...

სალომე. გაიოზ, გაჩუმდი!

გაიოზი. მუხამ უთხრა...

სალომე. გაიოზ, გემუდარები!

გაიოზი. თქვენ ხომ ჩემზე უკეთესად იცით თუ რა უთხრა მუ-
ხამ?

გიორგი (ჩუმად). თქვი.

გაიოზი (სიცილით). რა საჭიროა, ბატონო გიორგი.

გიორგი (წამოვარდება). როგორ მიბედავ?

ნესტანი. დაგვანებეთ თავი, დაგვანებეთ!

გაიოზი. მე არ მინდა ზოგიერთ უსინდისოს ასე მოეჩვენოს-
მეთქი...

გიორგი. როგორ მიბედავ, როგორ მიბედავ... (სკამზე დავარ-
დება.)

გაიოზი. ხალხის ამბავი ხომ იცით, შეიძლება ისიც კი თქვან, სა-
ლომეს საყურეები და ყელსაბამი ქრთამად აიღესო. ხომ
იცით ზოგს რა ბინძური ენა აქვს... ვააგებინე, აუხსენი, რომ
ეს საჩუქარია, მაგრამ აბა ერთი წუთით დაფიქრდით, თუ
ეს საჩუქარია, საჩუქარს ხომ უცხოსაგან არ იღებენ?

ნესტანი. გიორგი! მარიკა, წყალი!

მარიკა. მამა!

გაიოზი. შეიძლება ისიც კი თქვან, რომ თქვენმა უგულობამ,
თქვენმა კრისტალურმა პატიოსნებამ მიიყვანა გურამი ცი-
ხეში, რას გაიგებენ, რომ თქვენ მაღალი პრინციპით ხელმ-
ძღვანელობდით. თქვენ რას იფიქრებდით, რომ როდესაც
ინსტიტუტის კარს მიუხურავდით, ის ქუჩაში აღმოჩნდებო-
და. შეიძლება ისიც თქვან, რომ თქვენი ჰაერში გამოკიდე-

Scanned with CamScanner

ბული პატიოსნებით თქვენი შვილების ბედნიერებას წინ ელობებით, შეიძლება ესეც თქვან...

აბესალომი. ეს ვინ ყოფილა, კაცო?

ნესტანი. რა გინდათ ჩვენგან, რა?

გაიოზი. უკაცრავად... უკაცრავად.. ძალიან ვწუხარ, რომ ამ-
დენი უსიამოვნება მოგაყენეთ. ბატონო გიორგი, სრულებით
არ მინდოდა... დიდი ბოდიში... მე წავალ, კარგად ბრძან-
დებოდეთ... წამოდი, სალომე!

მარიკა (სალომეს მოხვევს ხელს.) ღმერთო ჩემო!

სალომე (ჩუმად). ნუ, გაიოზ...

გაიოზი. წამო, სალომე, წავიდეთ, ნუ გეშინია, მე არ მიგატო-
ვებ. შენ არაფერი გითქვამს მშობლებისთვის?

მარიკა. სალომე?

სალომე. ხო, მე სხვა გზა არა მაქვს...

ნესტანი. რას ამბობ?

სალომე. მე ბავშვს ველოდები.

ნესტანი. ტყუის, გიორგი, ტყუის, ნუ უსმენ. ხომ ტყუი, სალო-
მე? თქვი, ტყუილია-თქო, თქვი!

სალომე. არა, მე სხვა გზა არა მაქვს...

გაიოზი. მაშ თქვენ არ იცოდით? რასაკვირველია. რა გაქვს და-
სამალი? იქნებ ბავშვიც სამარცხვინო იყოს? თუმცა ეს ხომ
პატიოსანი ოჯახია, როგორ შეიძლება!

სალომე (ჩუმად). გაჩუმდი...

გაიოზი. რატომ უნდა გავჩუმდე? დროზე უნდა გეთქვა, არ ვარ-
გა, სალომე, ასე.

გიორგი (ყვირის). გაეთრიე!

ნესტანი. ვაიმე, გიორგი! მიშველეთ!

მარიკა (კივის). მამა!

ნესტანი. მიშველეთ!

ელისაბედი. ჩქარა წყალი!

სალომე. მამიკო!

დარო (ყვირის). კაცი მოკლეს! კაცი მოკლეს! კაცი მოკლეს!

გაიოზი. ჩქარა, ექიმი! ტელეფონი, ტელეფონი სად არის!

Scanned with CamScanner